CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

N187/3309/ 10 დეკემბერი 2015 წ. PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

საორგანიზაციო ჯგუფის წევრი გურამ ზურაბაშვილი:

„ვთხოვ ყველა მძღოლს, 13 დეკემბერს 5 საათზე, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, 10-წუთიანი გაბმული „სიგნალი“ მისცენ, რათა გააგონონ ხმა ამ აბსურდული ინიციატივის ავტორებს“

პოლიტიკურ პარტიებს რომ არ შესწიროთ ათასები, გაჭირვებულ ხალხს ვერ ხედავთ, შიმშილითა და უსახლკარობით რომ სიცოცხლე უმწარდებათ?!

აუდიტის დასკვნა — ვინ რამდენი გადაურიცხა პოლიტიკურ პარტიებს 4

„ჩემი განცხადების საფუძველზე თეა წულუკიანს ქონება დაუყადაღეს“ 5

თქვენი ვერაფერი გაიგეთ, ბატონო პრემიერო — პატრიარქის პოზიცია ხან გაღელვებთ, ხან — საერთოდ არ გაინტერესებთ?! 10

ომარ ნიშნიანიძე: „ძალაუფლება, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, კარგავს ყოველგვარ მიმზიდველობას“ — აი, თურმე, რა ყოფილა!.. 10

ვინ დარჩა ცენტრალური საახალწლო შოუს მიღმა — მორიგი შოუბიზნესური სკანდალი 12

ზვიად ძიძიგურმა, — ბიძინა სიის პირველი ნომერი იქნებაო. ვოლსკიმ, — სიაში რა უნდაო? უსუფაშვილმა, — საარჩევნოდ ბიძინას გარეშე მოვემზადებითო...

რა ხდება კოალიციაში?

7

ზაზა ხატიაშვილი:

„ყველაფერი მეორდება, რადგან ბიძინამ თავად დაუშვა ეს სიბინძურე...“

5

პედაგოგების დასამორჩილებლად „განათლების კანონში“ ცვლილება შედის

მარიამ რამინაშვილი:

„მათი მთავარი სადარდებელი არის 2016 წლის არჩევნებამდე მისვლა, დანარჩენზე კი ამ ეტაპზე არ ღელავენ“

13

„ოცნებამ“ საარჩევნოდ მზადება ბაგა-ბაღების დირექტორების მოხსნით დაიწყო?

როგორ ამზადებს „ქართული ოცნება“ თბილისის ბაგა-ბაღებს წინასაარჩევნოდ და რატომ ხორციელდება საკადრო ცვლილებები საბავშვო ბაღებში?

9

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

მორიგი ქურდობა ოზურგეთში — ქურდებმა თხილს არაყიც გააყოლეს

მორიგი ქურდობა ოზურგეთში. ამჯერად ქურდებმა ერთ-ერთი მცხოვრების სახლიდან, თხილთან ერთად, არაყი და ღვინოც მოიპარეს.

შემოქმედელის ქუჩაზე შემთხვევა ღამის საათებში მოხდა. გამოძიებისთვის დაუდგენელმა პირებმა სახლიდან 40 ლიტრი ღვინო, 10 ლიტრი არაყი და 5 ტომარა თხილი მოიპარეს. (ნოუპოსტი)

თურქეთმა რუსი ჟურნალისტებისთვის წესები გაამკაცრა

თურქეთის ხელისუფლებამ რუსი ჟურნალისტებისთვის ქვეყანაში მუშაობის ნებართვის მოპოვების უფლება გაამკაცრა.

– ჟურნალისტებს, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე მუშაობენ, სხვადასხვა სახის ჯარიმები დაეკისრებათ. გარდა ამისა, შესაბამისი ნებართვის მოსაპოვებლად, ჟურნალისტებს საელჩოსთვის მთელი რიგი დოკუმენტების წარდგენა მოუწევთ. მათ შორის მედიასაშუალების ხელმძღვანელის წერილი თურქულ ან ინგლისურ ენებზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ვიზიტის მიზანი, ადგილი და დრო, ასევე, მათი სახელი, ვისგანაც ინტერვიუს აღება სურთ, – განმარტეს საელჩოში.

როგორც ცნობილია, თურქეთის პოლიციამ რუსული ტელეარხის **Россия 1**-ის, გადაცემა „სპეციალური კორესპონდენტის“ გადამღები ჯგუფი დააკავა. მედიის ინფორმაციით, ჟურნალისტები ნავთობის საკითხზე „ისლამური სახელმწიფოსა“ და თურქეთის შესაძლო კავშირის შესახებ რეპორტაჟს ამზადებდნენ. ჯგუფს ჟურნალისტი ალექსანდრე ბუზალაძე ხელმძღვანელობდა. რამდენიმესაათიანი დაკითხვისა და შემოწმების შემდეგ ჟურნალისტების ჯგუფის რუსეთში დეპორტაცია მოხდა.

2015 წელს ეგეოსის ზღვაში 185 ლტოლვილი ბავშვი დაიღუპა

ეგეოსის ზღვაში 2015 წლის განმავლობაში თურქეთიდან საბერძნეთისკენ მიმავალი 185 ლტოლვილი ბავშვი დაიღუპა.

„იუნისეფის“ ინფორმაციით, ეგეოსის ზღვაში დაღუპულების 30 პროცენტს ბავშვები წარმოადგენენ – 590 ადამიანიდან 185 ბავშვია. მათი უმრავლესობა სირიიდან, ავღანეთიდან და ერაყიდან იყო. (ნოუპოსტი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

„შუსუსუს“ რომ ჰკითხო, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა ხალხს არ დააზარალებს — 20 პროცენტით რომ გაძვირებულა უკვე, აბა, ვინ დაზარალდება, ჩვენი ფულით ნაყიდ ჯიპებზე შემოსკუპებული მთავრობა?!

ცოტა არ იყოს, უცნაური კი გვგონია მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაძვირება, მაგრამ, ზოგადად, პარადოქსების ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ე.წ. საგზაო უსაფრთხოების პროგრამამ ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. ინიციატივის ავტორები ყველანაირად ცდილობენ, დაგვაჯერონ იმაში, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი სახიფათოა და უნდა აიკრძალოს. ამას ამბობს შს სამინისტრო, რომელიც პროექტის ავტორია და უწყებასთან ხმაშეწყობილად იმეორებენ ამ სისულელეს მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც.

კაცო, თუ სახიფათოა, 400 ათასამდე მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ყოფილა რეგისტრირებული საქართველოში და მინიმუმ 400 ათასი ადამიანი ჯანდაბას, ფეხებზე იკიდებთ, მთავარია, მარცხენასაჭიანი ავტომფლობელები გადაარჩინოთ?!

მოკლედ, როგორც ავტოდილერები ამბობენ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები დაახლოებით 20 პროცენტით არის გაძვირებული, რაც, ვიმეორებთ, უცნაურად გვეჩვენება – როცა მათ აკრძალვაზეა საუბარი, როცა შესაძლოა, აიკრძალოს რეგისტრაცია და რამდენიმე წელში ჯართად იქცეს, გაძვირება რა ლოგიკაში უნდა ჯდებოდეს?!

ასეა თუ ისე, ფაქტი სახეზეა და როცა რომ შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილიცა და მისი მოადგილე არჩილ თალაკვაძეც გვარწმუნებენ, აკრძალვა არავის დაგაზარალებთ, პირიქით, სიახლის დანერგვა თქვენზე რომ ვზრუნავთ, იმისთვის გვინდაო, გვიპასუხონ – 20 პროცენტით რომ გაძვირდა ფასი, ზარალდებიან თუ არა რიგითი მოქალაქეები? რა თქმა უნდა, ზარალდებიან და თან საკმაოდ სერიოზულადაც, თუმცა ჩვენი დაზარალება ამით არ დასრულდება - მარჯვენასაჭიანი ავტომობილები სულ რამდენიმე წელში ჯართად იქცევა და ბუნებრივია, მისი შეძენის მსურველი, უბრალოდ, აღარავინ იქნება.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მორიგ აქციას მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები 13 დეკემბერს 4 საათზე გამართავენ, მსვლელობა ვარკეთილიდან, კერძოდ კი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიიდან, ე.წ. „ჩინური დასახლებიდან“ დაიწყება.

როგორც „ალიას“ საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა **გურამ ზურაბაშვილმა** განუცხადა, მსვლელობის პირველი წერტილი შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება, შემდეგ კი მსვლელობას განაგრძობენ და პარლამენტის შენობისკენ დაიძვრებიან, სადაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის საკითხის შესაჩერებლად პეტიცია მომზადდება.

– ვთხოვ ყველა მძღოლს, 13 დეკემბერს, 5 საათზე, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, 10-წუთიანი გაბმული „სიგნალი“ მისცენ, რათა გააგონონ ხმა ამ აბსურდული ინიციატივის ავტორებს.

— გურამ, ინიციატივის ავტორები უკან დახევას აშკარად არ აპირებენ, ფაქტობრივად, პირველი აქციის შემდეგ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

– ჰო, მხოლოდ შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ გაავრცელა „ფეისბუკ“-პოსტი, ნუ ნერვიულობთო, დაგვამშვიდა. ეკონომიკის მინისტრი გამოეხმაურა, რაც თქვენ გაგვაგებინეთ და მორჩა.

— ჰოდა, არ იხევს უკან მთავრობა და რას აპირებთ?

– შევხედავთ და ვნახავთ. უკან დახევას არც ჩვენ ვაპირებთ. 13-ში მორიგ აქციას ჩავატარებთ და გეგმებსაც დავალაგებთ.

— პირველი აქციიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, წესით, ხალხი უნდა მოვიდეს, არა?

– 6 დეკემბრის აქციაზე კიდევ ბევრი აპირებდა მოსვლას – დაახლოებით 150 ავტომობილი შეყოვნდა რუსთავიდან. ზუსტად რა გახდა ამის მიზეზი, არ ვიცი და ამიტომ, არ მინდა ვინმე რამეში დავადანაშაულო, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ 150-მდე მძღოლი თბილისის აქციას ვერ შემოუერთდა...

ამდენი დრო სადაა, ბატონო მერო, ორმოები ვითვალოთ თუ დარგული ხეები, კაცო?

თბილისის მერი დავით ნარმანია ოპოზიციას მოუწოდებს, კაბინეტში არითმეტიკის ნაცვლად, გავიდნენ და დარგული ხეები ადგილზე დათვალონ.

– არითმეტიკას ჯობია, გავიდნენ ადგილზე და სათითაოდ დაითვალონ დარგული ხეები. ნამდვილად 480 000 ხე არის დარგული. არსებობს შესაბამისი ტერიტორიები, სადაც ეს ხეები დაირგო. ასე რომ, კაბინეტებში არითმეტიკის ნაცვლად, ჯობია, ადგილზე გავიდნენ და დათვალონ, – განაცხადა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

თბილისის მერმა განაცხადა, რომ დედაქალაქში უკვე ნახევარ მილიონამდე ხე დაირგო, რაშიც ოპოზიციას ეჭვი ეპარება. როგორც პოლიტიკური უმცირესობის წარმომადგენლები აცხადებენ, ასეთ შემთხვევაში მერიას დღეში 1000 ხე უნდა დაერგო. (ipress.ge)

რას ჰქვია, ოპოზიციას ეჭვი ეპარება? რა, განა არ იციან, ეჭვი ვის ეპარება?! პრინციპში, უარესებიც არიან, მაგრამ, მოდით, ჩვენ სხვა მიმართულებით წავიდეთ:

ასე ურცხვად ხალხის მოტყუება შეიძლება, ამის დედაც ვატირე?! ეეჰ, ბარემ კიდევ ბევრი რამე არ შეიძლება ამ ქვეყანაში, მაგრამ...

ახლა წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნებოდა, პინოქიოს მსგავსად, ვინც ტყუილს იტყვის, ცხვირი რომ ეზრდებოდეს, არა? თუმცა უკეთ დავფიქრდეთ, რა მოჰყვებოდა ამას — ალბათ, მერე ამ გრძელი ცხვირებით ხომ არ წარვადგენთ ჩვენს სამშობლოს უცხოელების წინაშე და თავს ხომ არ შევირცხვენთო? ჰოდა, ისევ ჩვენ დავზარალდებოდით, ისევ ბიუჯეტს ჩამოიმხობდნენ თავზე. ამიტომ არ გვინდა პინოქიო, მაგრამ ეს ოხერი ნაცარქექიებიც რომ არ გვინდა და მოგვბეზრდა, რით ვუშველოთ ქვეყანას, რა წყალში გადავვარდეთ?!

ჯერ იყო და ისაო, დავით ნარმანიამ, ორმოები აღარ არის თბილისშიო, ახლა ამბობს ნახევარ მილიონამდე ძირი ხე დავრგეთ და ვისაც არ სჯერა, გავატარებ, წავიდნენ და დათვალონო.

ახლა შევაჯამოთ ეს მსჯელობა და დასკვნაც გამოვიტანოთ: ხალხს, რიგით მოქალაქეებს, ამისთვის არ გვცალია, რადგან ყოველდღიური ლუკმაპური გვაქვს საშოვნი და ოჯახზე უნდა ვიზრუნოთ. ამიტომ ადგნენ ოპოზიციონერები, ცოტა ხნით გვერდზე გადააწყონ მახათები და დაიარონ, დაითვალონ ნარმანიას მიერ დარგული ხეები, იქნებ მართალს ამბობს და ტყუილად ვსაყვედურობთ?!

რამდენი მღვდელმსახურია საქართველოს ეკლესიაში და აფინანსებს თუ არა მათ საპატრიარქოს ბიუჯეტი?

რამდენი მღვდელმსახურია საქართველოში, აქვთ თუ არა სასულიერო პირებს შემოსავალი და რაში იხარჯება სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს,** მამა მიქაელ ბოტკოველს ვესაუბრეთ:

– ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს, სავარაუდოდ, ალბათ, 2 000-მდე მღვდელმსახურია, 1 000-მდე ბერი და 500-მდე მონაზონი. ეს არის სავარაუდო ციფრები, რადგან ზუსტი მონაცემი არ გვაქვს.

— საიდან ფინანსდებიან სასულიერო პირები? რა წარმოადგენს მათ

ეს ნორმა არსებობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ასეა, გამოყოფილია გარკვეული თანხა, რომელსაც საკომპენსაციოდ ეკლესიას უხდიან, რადგანაც ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არის, რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეა, რომლის დროსაც ეკლესიამ მატერიალური ზარალი მიიღო. აქედან გამომდინარე, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ხმარდება საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ძალიან მცირე ნაწილი სოციალურ მიმართულებებს. რადგანაც ჩვენ მო-

დის სოციალური დახმარება უმწეოთათვის?

– არა, ასეთი მიმართულება პრიორიტეტად არ გვაქვს, უბრალოდ, ეპარქიებში როგორც ახერხებენ სასულიერო პირები და მღვდელმთავრები დახმარებას, ამას ახორციელებენ. ჩვენ რომ თანხა სოციალურ დახმარებაზე გავანაწილოთ, საპატრიარქოსთან, ალბათ, ხალხის რიგი არ შეწყდება იმიტომ, რომ დღეს პრაქტიკულად ყველას უჭირს. (ambebi.ge)

ამ ინტერვიუს დიდი გამოხმაურება მოჰყვა რიგითი მოქალაქეების მხრიდან. გთავაზობთ შეფასებების ნაწილს:

– ჯიპებიც კომპენსაციაა?

– ჩემი წინაპრები ძალიან დაზვანაწილოთ, საპატრიარქოსთან, ალბათ, ხალხის რიგი არ შეწყდება იმიტომ, რომ დღეს პრაქტიკულად ყველას უჭირს“.

ესე იგი ეკლესია მხოლოდ მდიდარ ხალხს ეხმარება, რომ დიდი შესაწირი დასტყუოს?

P.S. მსახურთა რაოდენობაც რომ არ იციან.

– 20-იანი წლების მერე რით ვერ აინაზღაურეს ზარალი?! ეს თანხა გამოყოფილია „ლენდ კრუიზერებისთვის“, რომ მამაოებმა კომფორტულად იმგზავრონ და მდიდრული სახლები აიშენონ! გაჭირვებულებს გამოუყავით ჯობია და დაეხმარეთ ხალხს!!! ეკლესია ბიზნესად რომ გადააქციეთ.

– იესო ქრისტე, უდიდესი მოძღვარი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

ეი, „ოცნება“, როგორ უნდა საქმისა და სიკეთის კეთება, მარტო საკუთარი ჯიბეების გასქელებაზე რომ ხართ გადასულები!

ბაქოში უსახლკარო ბავშვებისთვის თავშესაფარი გაიხსნა. არასამთავრობო ორგანიზაცია „**ZirvY Ziyalýlar TYþ kilatý**“ წარმომადგენლის, ფატიმა ბაბაევას განცხადებით, სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მალე ქუჩისა და მიუსაფარ ბავშვებს თავშესაფარი ექნებათ, რომელიც ყველა პირობას აკმაყოფილებს. მისივე თქმით, თავშესაფარი 3-სართულიან ვილაში განთავსდება.

– ვილა გადმოგვცა ერთმა შეძლებულმა ადამიანმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და ინკოგნიტოდ დარჩა. თუ ვინმე ქუჩაში მიუსაფარ ბავშვს ნახავს, შეუძლია, მოიყვანოს. თავშესაფარში ბავშვებს ყველა პირობა ექნებათ შექმნილი და განათლებასაც მიიღებენ, – განაცხადა ბაბაევამ. (postalioni.com)

ახლა „ოცნების“ ჩინოვნიკებიცა და მხარდამჭერებიც ეგრევე იმას იტყვიან, რაც ბიძინა ივანიშვილს სიკეთე გაუკეთებია მთელი ქვეყნისთვის. ვიცით, ბატონო, გვახსოვს ეგ ამბავი, მაგრამ ჩვენ სხვა რამე გვიღრღნის გულს — პრემია-დანამატებზე გადარეულები მხოლოდ საკუთარი ჯიბეების გასქელებაზე რომ ზრუნავენ და მიუსაფარი, გაჭირვებული ხალხი აღარავის ახსოვს!..

აუდიტის სამსახური: საპატრიარქოს შემოწმების უფლება არ გვაქვს!

ალეკო ელისაშვილის განცხადებას, შემოწმების მიზნით აუდიტის სამსახური საპატრიარქოში უნდა შევიდეს, სახელმწიფოს აუდიტის სამსახური გამოეხმაურა და განმარტა, რომ უწყებას კანონის მიხედვით ამის უფლება არ აქვს.

– სახელმწიფო აუდიტის კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიტის შემოწმება არ ვრცელდება კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. ანუ ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. აქ იგულისხმება საპატრიარქოც. კანონის მიხედვით აუდიტის სამსახურს არ აქვს საპატრიარქოს შემოწმების უფლება, – აცხადებენ აუდიტის სამსახურში.

შეგახსენებთ, რომ ალეკო ელისაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა: „საპატრიარქოში ძალიან ბევრი ხალხი მუშაობს. აუდიტის სამსახური უნდა შედიოდეს და ბოლო კაპიკამდე ითვლიდეს ბიუჯეტიდან გადახდილ თანხას“. (ipress.ge)

საარსებო საშუალებას?

— მოძღვრებისთვის შემოსავალი არის ის შემოწირულობა, რომელსაც მრევლი გადაუხდის მღვდელმსახურების შესრულებაში, იქნება ეს ნათლობა, ჯვრისწერა, პანაშვიდი, წესის აგება და ა.შ. რასაც შესაწირის ყუთში შეწირავენ, ის არის სასულიერო პირის შემოსავალი. საპატრიარქოს ბიუჯეტიდან არც ერთი მღვდელმსახური არ ფინანსდება, რადგანაც ეს არ არის ნორმა. ეკლესიაში სასულიერო პირები თანხას ჩვეულებრივ შესაწირიდან იღებენ.

— საზოგადოებაში ხშირად უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ საპატრიარქოს ბიუჯეტი ყოველ წელს იზრდება, როგორ ნაწილდება ეს თანხები?

— თანხა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დასაფინანსებლად გამოიყოფა, არის ერთგვარი კომპენსაცია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, ანუ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში სახელმწიფოსგან ეკლესიას მიადგა, ვგულისხმობ 20-იან წლებს, როდესაც ბოლშევიკურმა რეჟიმმა ეკლესიები პრაქტიკულად დააცარიელა.

მავალს ვხედავთ სასულიერო პირების აღზრდაში, სასკოლო დაწესებულებების შექმნაში, სადაც ჩვენი ახალგაზრდები მიიღებენ შესაბამის განათლებას, ეს თანხა მთლიანად აქეთკენ არის მიმართული. ამ თანხიდან სასულიერო პირები, როგორც ასეთი, ხელფასს არ იღებენ.

არსებობს ორი სასულიერო აკადემია, ორი უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი, საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, ოთხი სემინარია, სკოლები, გიმნაზიები და გამოყოფილი თანხა მთლიანად ამ მიმართულებებზე იხარჯება. თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ ეს 25 მილიონი არის იმდენი, რამდენითაც ფინანსდება ერთი უმაღლესი სასწავლებელი. თუ არ ვცდები, „ილიაუნის“ 40 მილიონამდე აქვს გამოყოფილი, რომ იფუნქციონიროს, პრაქტიკულად ერთი უნივერსიტეტი რასაც მოიხმარს მთელი წლის განმავლობაში, იმას იხმარს ჩემ მიერ ჩამოთვლილი დაწესებულებები და თუ ასე გავაანალიზებთ, ვფიქრობ, რომ ამხელა ეკლესიისთვის 25 მილიონი ძალიან დიდი თანხა არ არის, თუ ქვეყანაში ერთი უნივერსიტეტის დაფინანსებას 30 და უფრო მეტი მილიონი ლარი სჭირდება.

— გამოყოფილ ბიუჯეტში თუ შე-

არალდნენ კომუნისტების დროს, მათი არა მარტო ქონება, სიცოცხლეც შეიწირეს და ამ ლოგიკით მე რატომ არ მაფინანსებს სახელმწიფო?

– მაშინ როდესაც ასეთი ამბავია ამ ტერორისტებზე, როგორ ემუქრებიან ქრისტიანებს და ამავდროულად როგორ ძლიერდებიან, იზრდებიან, ახალგაზრდებს აფინანსებენ, მიჰყავთ საქართველოდან. თქვენ კი რაზე დაობთ იმის მაგივრად, რომ, პირიქით, გავაძლიეროთ ჩვენი საქრისტიანო და დავაფინანსოთ ქრისტიანული განათლება. თქვენ, ქართველებო, თქვენ თვითონ უთხრით ძირს საქართველოს.

– და ვინც გააკულაკეს, სახლ-კარი, მიწები ჩამოართვეს და ყველაფერი, მშიერი დატოვეს ოჯახები, ლუკმაპურის გარეშე, იმათ კომპენსაცია რატომ არ ეკუთვნით?

– ილიაუნის მილიონები კარგად დაუთვლია და რამდენი მღვდელი ჰყავთ არ იციან?!

– „გამოყოფილ ბიუჯეტში თუ შედის სოციალური დახმარება უმწეოთათვის?

– არა, ასეთი მიმართულება პრიორიტეტად არ გვაქვს, უბრალოდ, ეპარქიებში როგორც ახერხებენ სასულიერო პირები და მღვდელმთავრები დახმარებას, ამას ახორციელებენ. ჩვენ რომ თანხა სოციალურ დახმარებაზე გა-

და უდიდესი ადამიანი, რამდენს იღებდა სასწაულების მოხდენაში? ან რომელი მარკის ეტლით დადიოდა? ან მისი მოწაფეები განკურნებაში და დემონების განდევნაში, რამდენ მონეტას იღებდნენ? აბა, მიპასუხოს ვინმემ

– ამ კომენტარებს რომ გადახედავს კაცი, მართლა რისი იმედი უნდა გქონდეს. მაგრად გიჭირთ ტვინში და სხვებს ასწავლით ჭკუას თქვე მართლა გაჭირვებულებო...

– რაც მეტი სასულიერო პირი იქნება, მით უფრო უკეთესია. დანარჩენებმა, ვინც ეკლესიისა და სასულიერო პირების საქმეებში იქექებით, საკუთარ სულს მიხედეთ.

– რამდენი მტერი ჰყოლია მართლმადიდებელ ეკლესიას. ისე კათოლიკეებს, მუსლიმანებს და ებრაელებსაც გამოუყვეს თანხები. ისიც კომპენსაციისთვის. ხო, მართლა, დაამტკიცეთ, რომ თქვენი წინაპრები გააკულაკეს, ან გადაასახლეს, ან დახვრიტეს და სახელმწიფო გადაიხდის. ტელევიზორშიც იყო ამის შესახებ რამდენიმე წლის წინათ. ოღონდ როგორ დავამტკიცო და ცოტას მომცემენ, არ მიიღება. ილიაუნის ფული კი არ დათვალა, თქვა, მგონიო, გაიგე, შე მატყუარა. ჯიპებზე იხარჯებაო, არ უთქვამს.

– ხალხს აძულებენ ეკლესიას ჯიპიანი და ღიპიანი მამაოები-მსმელები, მოქეიფე მამაოები, დიდება უფალს!

ალია

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

ისევ ყალბ მოლოდინს გვიქმნით, ქალბატონო თავდაცვის მინისტრო? ისევ უარი რომ გვლეწოს ნატომ, აგებთ მერე პასუხს?!

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ ნატოს ექნება შემდეგი გაჩერება და ეს გაჩერება საქართველოა.

თინათინ ხიდაშელმა ვაშინგტონში, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში სიტყვით გამოსვლისას, ასევე, განაცხადა, რომ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი საქართველოსთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური იყო.

– მინისტერიალში მონაწილე საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ შემდეგი ქვეყანა, რომელსაც ნატოში მიიწვევენ, საქართველო იქნება. მაპის არმიღება კი დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რადგან, თუ იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, ნატო მე-10 მუხლის მიხედვით იმოქმედებს. მაგალითად, თუ ხვალ შვედეთი გადაწყვეტს, გახდეს ნატოს წევრი, მას მაპ-ს კი არ შესთავაზებენ, არამედ პირდაპირ მიანიჭებენ წევრობას, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. მისივე თქმით, საქართველომ ნატოში ინტეგრაციის გზაზე აღებული ვალდებულები წარმატებით შესრულა.

ხიდაშელმა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის კომუნიკეს ტექსტში ასახული დადებითი შტრიხების შესახებაც გაამახვილა ყურადღება.

– დოკუმენტში ორჯერ ნათლად არის ხაზგასმული, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის ყველა საჭირო ინსტრუმენტი აქვს. ასევე, პირველად გვითხრეს, რომ ჩვენ გაწევრიანებისთვის მომზადების პერიოდს გავდივართ. ვხედავთ წევრი ქვეყნების სურვილს და მონდომებას, დადგნენ ჩვენ გვერდით და ითანამშრომლონ უკეთესი უსაფრთხოებისთვის, შეკავების პოლიტიკისთვის და შეიქმნას ყველა პირობა, რადგან როდესაც საქართველოს სასარგებლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს პროცესი იყოს მარტივი, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. (ნოუპოსტი)

გია მაისაშვილი სიმსივნისგან სრულად განიკურნა

9 თვის წინ პოლიტიკოსსა და ეკონომისტ გია მაისაშვილს სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა. მას ტვინის სიმსივნის დიაგნოზი ჰქონდა დასმული. მიუხედავად უმძიმესი დიაგნოზისა, მან მაინც არ დაყარა ფარ-ხმალი და სიტუაციას არ შეეგუა. გავიდა დრო და სიმსივნემ დათმო დასათმობი.

გია მაისაშვილი „ფეისბუკის“ გვერდზე წერს:

– დიდი სიხარულითა და მადლიერებით ვატყობინებ მათ, ვინც ამდენი თვის მანძილზე იზიარებდა ჩემს ბრძოლას და ჩვენთვის ლოცულობდა. გეგმიურმა ტომოგრაფიამ დაგვიდასტურა, რომ ტვინი აბსოლუტურად სუფთაა, სიმსივნე დამარცხებულია. დაე, დარჩეს სამარადისოდ დათრგუნულ-დასამარებული. ჯანმრთელი სხეული იმარჯვებს, სიცოცხლეს გაუმარჯოს! გადარჩენას! ოღონდ აზრიანს, რაღაცისთვის და ვიღაცისთვის და არა მხოლოდ გადარჩენას არსებობისთვის, – წერს გია მაისაშვილი „ფეისბუკის“ გვერდზე. (ნოუპოსტი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

პოლიტიკურ პარტიებს რომ არ შესწიროთ ათასები, გაჭირვებულ ხალხს ვერ ხედავთ, შიმშილითა და უსახლკაროობით რომ სიცოცხლე უმწარდებათ?!

აუდიტის დასკვნა – ვინ რამდენი გადაურიცხა პოლიტიკურ პარტიებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობებთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან 9 დეკემბრამდე პარტიებმა, საერთო ჯამში, 1 409 319 ლარის შემოწირულობა მიიღეს. აქედან ყველაზე მეტი შემოწირულობა მიღებული აქვს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“. კერძოდ, საუბარია 536 355 ლარზე. აქედან ფულადი შემოწირულობაა 526 000 ლარი, არაფულადი – 10 095 ლარი.

შემდეგია „თავისუფალი დემოკრატები“ – 279 710 ლარი. ალასანიას პარტიამ მთლიანი თანხა ფულადი შემოწირულობის სახით მიიღო.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოწირულობის სახით 260 240 ლარი მიიღო. „ნაცმოძრაობასაც“ აღნიშნული თანხა სრულად ფულადი სახით აქვს მიღებული. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ადგილები შემონირულობის რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

„პატრიოტთა ალიანსი“ – 171 170 ლარი, „დევნილთა პარტია“ – 52 151 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ – 34 546 ლარი, „რესპუბლიკური პარტია“ – 29 368 ლარი (აქედან 27 988 ლარი საწევროა), „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 23 360 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ – 14 120 ლარი, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ – 2 875 ლარი, „კონსერვატიული პარტია“ – 1 320 ლარი, „ხალხის პარტია“ – 1 135 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – 1 107 ლარი, „ქართული პარტია“ – 1 000 ლარი, „ქართული დასი“ – 861 ლარი. (ნოუპოსტი)

„ალიამ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან უფრო დეტალური ინფორმაცია გამოითხოვა იმის გასარკვევად, ვინ რამდენს იმეტებს პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელთა უმეტესობას, პრინციპში, არც ფული აკლია და არც ფუფუნება.

საინტერესოა, რომ სიაში არ არის დასახელებული „ლეიბორისტული პარტია“, რომელსაც წელს 1 თეთრიც არ მიუღია მათ შორის, არც საწევროს სახით. ყოველ შემთხვევაში, აუდიტის დასკვნაში მსგავსს ვერაფერს გადავაწყდით. სხვა რა გზებითა და ხერხებით არსებობს პარტია, ამას უკვე ვერ გეტყვით.

სახელმწიფო აუდიტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, პარტიების ყველაზე მსხვილი „მფარველი ანგელოზები“ არიან:

30 ათასი ლარი აქვს შეწირული „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ვინმე დავით ანდღულაძეს, 30 ათასი ლარი შესწირა ირაკლი ალასანიას პარტიას გია ხომასურიძემ. ასევე, 30 ათასი ლარი გაუღია „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ვინმე ვახტანგ კურტანიძეს. 20 ათასი ლარით დაეხმარა ალასანიას ტრისტან ჯინჭარაძე.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე გულუხვი დამფინანსებელი ყოფილა ილია კეჭაყმაძე, რომელსაც 60 ათასი ლარი გაუღია. 60 ათასი ლარით დახმარებია „ქართულ ოცნებას“ ვინმე აკაკი კორძაძე. 30-30 ათასი ლარი მიიღო მეოცნებეთა პარტიამ ეკატერინე მაჭავარიანისგან და ბესიკ შუბითიძისგან. 60-ათასლარიანი შემომწირველია ვინმე გიორგი ჯუღელი, რომელსაც ცოტათი ჩამორჩება მარინა დოლიძე-კეჭაყმაძე — მის მიერ გაღებული თანხა 40 ათას ლარს შეადგენს. 50 ათასი ლარი არ დაენანა „ქართული ოცნებისთვის“ ბადრი არეშიძეს, შედარებით „იჟმოტეს“ ზვიად იმედიძემ და ნუგზარ დვალმა — მათ „საქართველოს აყვავებისთვის მუხლჩაუხრელად მზრუნველებს“ 40-40 ათასი ლარი შესწირეს.

მთლად ასეთი გულუხვობით არ გამოირჩევიან „ნაცმოძრაობის“ ტრფიალნი — გიორგი გაბაშვილს (სავარაუდოდ, საუბარია გოკა გაბაშვილზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში ძმას ეწუწუნებოდა, უკრაინაში ჩამოსასვლელი ფული არ მაქვსო) 10 ათასი ლარით შეუთხელებია საკუთარი ბიუჯეტი. სერგო რატიანს დედა პარტიისთვის 2346,5 ლარი გადაურიცხავს. ეს 50 თეთრი რატომ არ დაამრგვალა და „სტაიანშჩიკს“ თუ აჩუქა, ან რა ვიცით, გადარიცხვისაც ჩამოაჭრეს, ალბათ. დავით ბაქრაძეს კი დაუმრგვალებია და 3 ათასი ლარით წახმარებია პარტიის ბიუჯეტს. 3 ათასი ლარი აქვს შეწირული დედა პარტიისთვის გიგი წერეთელსაც. დავით კირტიკაძეს კი არ დაენანა და 5 ათასი ლარი გაუღია — უეჭველი ისესხა ან სამეზობლოში, ან რომელიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან, თორემ აბა, საიდან აქვს კირტიკაძეს ფული, ბაბაია?!

გიორგი ბარამიძის პარტიული შენატანი 5 ათასი ლარია, ასევე, ნუგზარ წიკლაურის, დავით დარჩიაშვილი კი 3 ათასი ლარით გაღარიბებულა. გოკა გაბაშვილს არ ჩამორჩა აკაკი ბობოხიძე — მანაც 10 ათასი ლარი ჩაურიცხა „ნაცმოძრაობას“.

„ქართული ოცნების“ დამფინანსებლებს შორის საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებში ყველაზე გულუხვები თინათინ ხიდაშელი და ნოდარ ებანოიძე არიან, რომელთაც 10-10 ათასი ლარი აქვთ გაღებული. მეორეა თამაზ თამაზაშვილი, რომლის ანგარიშიდანაც „ოცნების“ ანგარიშზე ერთ ჯერზე 4600 ლარია გადანაცვლებული, შემდეგ კი — 2870 ლარი. „ფეისებში“ შემდეგია ვახტანგ ხმალაძე 6 ათასი ლარით, მას მოსდევენ ლევან და დავით ბერძენიშვილები 5-5 ათასი ლარით, რომელთაც ფეხდაფეხ მიჰყვება გიგლა აგულაშვილი 3 ათასი ლარით...

თუ ვინმე გამოგვრჩა „ქართული ოცნების“ წევრებიდან, იმედია, არ გვიწყენენ, ნამეტანი რთული მოსაძებნია უზარმაზარ სიაში მათი გულუხვობის მაგალითები.

როგორც „ალიას“ სახელმწიფო აუდიტის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განუცხადა, შემომწირველთა შორის 40 საეჭვო ადამიანი გამოიკვეთა, რომელთა მიერ პარტიებისთვის გადარიცხული თანხები მათ შემოსავალს აღემატებოდა. შემდგომში მათი რაოდენობა 12-მდე შემცირდა და ეს 12 ადამიანი უწყებაშია დაბარებული:

– სახელმწიფო აუდიტის სამსახური წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებდა პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების შესწავლას. ჯამში, საეჭვოდ იქნა მიჩნეული და ინფორმაცია მოვიძიეთ 40-მდე შემომწირველის შესახებ. შემოსავლების სამსახურიდან მიღებული და სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებითი მონაცემების მოძიების აუცილებლობა გამოიკვეთა 12 შემომწირველთან დაკავშირებით. მონიტორინგის სამსახური მომავალ კვირაში გეგმავს აღნიშნული პირების გამოკითხვაზე დაბარებას, რათა მათ წარმოადგინონ შემოწირულების წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ მათ გადარიცხული თანხების წარმომავლობა ვერ განმარტეს, დაჯარიმდებიან გადახდილი თანხის ორმაგი ოდენობით, – ამბობს ზურაბ აზნაურაშვილი.

დაბოლოს, ძალიან კი გვეხამუშება და ვერ ვხვდებით, რატომ უნდა გადაურიცხო პოლიტიკურ პარტიას 60, 50, 40 ათასი, თუ მისგან ორმაგისა და სამმაგის მოლოდინი არ გაქვს?! არა, შეიძლება ვცდებით და ეს ადამიანები გაჭირვებულებსაც უანგაროდ უდგანან გვერდში, მაგრამ...

ჰო, ყველაზე მთავარი — 60 ათასი კი არა, 60 თეთრი რატომ უნდა გადაურიცხო პარტიას, რომელმაც ქვეყანა ფეხებზე დაიკიდა?!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

„ჩემი განცხადების საფუძველზე თეა წულუკიანს ქონება დაუყადაღეს“

უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძის განცხადებით, მისი განცხადების საფუძველზე იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს და პაპუნა უგრეხელიძეს ქონება დაუყადაღეს, ტუსკაძის თქმით, ის აპირებს, ქონება დაუყადაღოს დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელსაც, რათა ამ ქმედებით აიძულოს ხელისუფლება, შეიტანონ სარეგისტრაციო კანონში ცვლილება.

„ჩემი განცხადების საფუძველზე იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს და საჯარო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარეს, პაპუნა უგრეხელიძეს ქონება დაუყადაღეს. ჩემი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ვაპირებ, ქონება დავუყადაღო დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელს. ამ ქმედებით მსურს, ვაიძულო ხელისუფლება, კანონში ცვლილება შეიტანონ. საქმე ეხება საქართველოს კანონს საჯარო რეესტრის შესახებ 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებულებას საჯარო რეესტრის წარმოების ინსტრუქციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეს, ყადაღის წარმოშობის შესახებ, სასამართლოს განჩინების მიღებამდე აქვს უფლება, განცხადების საფუძველზე ამა თუ იმ პირს ქონება დაუყადაღოს. იმისთვის, რომ სარეგისტრაციო კანონში შესულიყო ცვლილება, რასაც უკვე დიდი ხანია ვითხოვ, სიმბოლურად თეა წულუკიანისა და პაპუნა უგრეხელიძის ქონებაზე მოვითხოვე შეზღუდვა, გაყიდვისა და იპოთეკით დატვირთვისთვის. ვიფიქრე, რომ ამით დაიწყებოდა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ადეიშვილი-მერაბიშვილის მიერ მორგებულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ხალხზე იქნებოდა ორიენტირებული.

შედეგად მოხდა ის, რომ წულუკიან-უგრეხელიძის დუეტმა დამიწყო უკანონო დევნა. მათი სამსახურის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, ჩემთან ურთიერთობა აუკრძალეს. ძალიან ბევრ მოქალაქეს, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს, მიადგა ზიანი სწორედ უკანონო კანონის გამო და პროტესტის ამ გზით მეგონა, მათ ჭეშმარიტებას დავანახვებდი.

ჩამომართვეს მანქანა, რომელზეც იყო მიღებული სრულიად უკანონო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც გასაჩივრებული მაქვს და სასამართლომ წარმოებაში მიიღო. გარდა ამისა, 2015 წლის 22 ოქტომბერს როდესაც ორფეხამპუტირებული ბიძაჩემი სრულიად უკანონოდ გამოასახლეს სახლიდან, მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რაზეც ექსპერტიზა ჩავიტარე და დღემდე, მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, არ მბარდება ექსპერტიზის დასკვნა, ასევე, არ ხდება ჩემი დაკითხვა და ჯალათები, რომლებიც კარგად არიან მოკალათებულები აღსრულების პოლიციაში, დაუსჯელები არიან“. – განაცხადა ტუსკაძემ. (postalioni.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ზაზა ხატიაშვილი: „ყველაფერი მეორდება, რადგან ბიძინამ თავად დაუშვა ეს სიბინძურე...“

რატომ შეჩერდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ლევან მურუსიძის მუდმივ მოსამართლედ დანიშვნის პროცესი სააპელაციო სასამართლოში? რა შედეგი მოჰყვება ელისაშვილის განცხადებას შეწყალების კომისიაში ფულის კეთებასთან დაკავშირებით?

„ალიას“ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:

— ზაზა, ლევან მურუსიძის საკითხი რატომ გადაიდო, წინა ინტერვიუში მითხარი, რომ ამ დღეებში უნდა დაენიშნათ სააპელაციოში მუდმივ მოსამართლედ?

– გადაიდო დროებით, ახალ წლამდე უნდა გაიყვანონ გასაუბრებაზე და დანიშნონ.

> **იყო ბინძური გარიგება, უნდოდათ დანიშვნა, მაგრამ ცოტა ხანს შეჩერდნენ. მე იმაზე კი არ ვდაობ, რაც ახლა ხდება, ამ ყველაფერს ჰქონდა წინაპირობები. ალბათ, გახსოვს, ბიძინა ივანიშვილი ერთი თვის მოსული იყო პრემიერ-მინისტრად, როცა უზენაეს სასამართლოში მივიდა და იქიდან აღფრთოვანებული წამოვიდა, მურუსიძე გავიცანი, ეს პატიოსანი და ბრწყინვალე ადამიანიო. არადა, ყველამ კარგად ვიცით, ამ კაცს რა საქმეებზე აქვს ხელი მოწერილი. ისიც ხომ ვიცით, სად არის ძაღლის თავი დამარხული?**

— შეიძლება, რომ მურუსიძე ახალი წლის დღეებში დანიშნონ, როცა არავის ეცლება გასაპროტესტებლად?

– ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ, როცა მურუსიძე გასაუბრებაზე დაჯდება, ჩვენ აუცილებლად მივალთ იუსტიციის საბჭოსთან და ავტეხთ ერთ ამბავს.

> **როცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩევნები იყო, ნინო გვენეტაძემ წარადგინა ძალიან კარგი კანდიდატი — ეკატერინე გასიტაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება ძალიან ბევრი პოზიტივი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი წარადგინა პრეზიდენტმა და პარლამენტმაც თანხმობა მისცა, მურუსიძესთან მაინც წააგო. არჩევნებამდე ერთი დღით ადრე პრემიერ-მინისტრი შეხვდა მურუსიძეს, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და სურათიც გადაიღეს. ეს საკმარისი გახდა იმისთვის, რომ მოსამართლეებს სხვანაირად ეფიქრათ. ბიჭო, გვენეტაძეს შეხვედროდა, სახელგატეხილი მურუსიძე რაში სჭირდებოდა?**

რის გაკეთებასაც გვენეტაძე დაპირებს, ცდილობენ, ყველაფერში ფეხი დაუდონ. ასევე იქცევიან თეა წულუკიანი და მისი მოადგილე სანდრო ბარამიძე.

— რატომ, წულუკიანმა განცხადება გააკეთა, მურუსიძეს რომ ნამუსი ჰქონდეს, მუდმივ მოსამართლეობაზე არც იოცნებებდაო.

– ეს განცხადება გააკეთა ჩემი საპროტესტო აქციის შემდეგ, იძულებული გახდა. კი, მაგრამ როცა წულუკიანი სანდრო გირგვლიანის საფლავზე დადიოდა, მაშინ მურუსიძეზე არ ფიქრობდა? როცა პირველად ერთი ამბავი ავტეხე, მაშინ თქვა, ამის შესახებ არაფერი ვიცი, მურუსიძე ჩემთვის უცნობიაო. წინა გასაუბრების თაობაზე განცხადება 15 წუთით ადრე დადეს, შემთხვევით რომ არ მენახა, ეს ადამიანი უკვე დანიშნული იქნებოდა მუდმივ მოსამართლედ. ჩვენ თუ მაგრად არ დავდექით, ამას მართლა გააკეთებენ.

— ზაზა, შენ გამოაქვეყნე მიმართვა, სადაც ისევ მოწმის დაკითხვაზეა საუბარი, ამ კუთხით არაფერი შეიცვალა? როგორც ვიცი, 10 დეკემბერს იხილავს პარლამენტი.

– 10 დეკემბერი არის ადამიანის უფლებების დაცვის დღე. ზუსტად ამ დღეს პარლამენტი იხილავს ამ კანონ-პროექტს, ანუ მოწმის დაკითხვა მოხდება პროკურატურასა და პოლიციაში თუ სასამართლოში.

> **ჩვენ ვითხოვთ, რომ მოხდეს სასამართლოში, ესენიც თითქოს გვეთანხმებიან, მაგრამ გამოძიებას რჩება უფლება, მოწმეს გაესაუბროს. ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და აღარ გავაგრძელებ. მე მივმართავ პარლამენტს, რომ ეს საკითხი ცოტა ხნით გადადოს და მიიღოს ნორმალური ცვლილებები. უსუფაშვილი სამი წლის წინათ აცხადებდა, რომ ეს დაუშვებელი იყო, ახლა რატომ აკეთებს ამას, რატომ თანხმდება? ესენი ყველაფერს აკეთებენ იმის საწინააღმდეგოდ, რაც სამი წლის წინათ თვითონაც არ მოსწონდათ და აკრიტიკებდნენ.**

— ელისაშვილის განცხადებაზე ერთი ამბავია ატეხილი. იძახის, ტელეფონზე მოსული მესიჯები, სადაც ამა თუ იმ პატიმრის შესაწყალებელთა სიაში ჩასმაზეა საუბარი, პრეზიდენტსა ვაჩვენეო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას მტკიცებულებები აქვს. იმ პერიოდში შენ პირადად ამაზე რამე გსმენია? ზოგადად კი ამბობდნენ, შეწყალების კომისიის საშუალებით დიდი ფული კეთდებაო, მაგრამ ფაქტებს მაინც ვერავინ დებდა.

– კი, ამ თემაზე საუბრობდნენ, პარლამენტარებს ჰყავდათ თავიანთი „ლუბიმჩიკები“ და ასეთ რაღაცებს აკეთებდნენ.

> **საერთოდ, ჩვენი პოლიტიკოსები არიან ძალიან ბინძურები, ყველა უტვინო და სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიუღებელი ეტენება პოლიტიკაში. მართალია, ელისაშვილის ჩათვლით, არიან გამონაკლისები, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან. ელისაშვილეს ეს ამბები მაშინვე უნდა გაეხმაურებინა. ეს არის მისი დიდი შეცდომა, მე როგორც კი საშიშროებას ვიგრძნობ ხოლმე, მაშინვე განცხადებას ვაკეთებ. ეს აუცილებელია, მე რომ კაბინეტებში ვიარო, ძალიან გამიჭირდება. საერთოდ, შეწყალების თემა ძალიან ჩახლართულია.**

— როგორ ფიქრობ, ელისაშვილის განცხადებას რა შეიძლება მოჰყვეს?

– არაფერი არ მოჰყვება. თუ ალეკომ მტკიცებულებები გამოაქვეყნა ან პროკურატურაში წარადგინა, მაშინ იძულებული გახდებიან, გამოიძიონ, მაგრამ ამ გამოძიებასაც შედეგი რა ექნება, არავინ იცის.

> **ჩვენ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ დანაშაულთან. ალბათ, გახსოვს, ჯერ კიდევ 2012 წელს დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატი იძახდა, ჩვენ პოლიტიკაში მილიონების საშოვნელად მოვდივართო. ისინი დღეს პარლამენტში სხედან. აქედან გამომდინარე, მე ეჭვი არ მეპარება, რომ საქმეების ჩაწყობას მართლაც ჰქონდა ადგილი. მე ისიც მახსოვს, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, ხალხი იჯდა და ელოდებოდა, აბა, ვის დაურეკავდა. მერე ზოგიერთი ძალიან ნერვიულობდა, ვაიმე, რატომ არ დამირეკაო? ხალხში ერთგვარი ფსიქოზი იყო. ამას რომ ვუყურებდი, გული მერეოდა. ამით ჩვენმა პოლიტიკურმა სპექტრმა აჩვენა თავისი ძირგამომპალი სახე. რიგში იდგნენ მოკუნტულები და ელოდებოდნენ, როდის წაიყვანდა. ახლა ასეთები გამოდიან და აცხადებენ: აი, იცით, რა არის? ბიძინა კარგია, მისი გარემოცვა არ ვარგა! დღევანდელი პოლიტიკოსები ცდილობენ, პროგრამის წარმოდგენის ნაცვლად ბიძინას გარემოცვაში ვიღაცა მოიშორონ, ვიღაცა ჩაუშვან, ვიღაცას ძირი გამოუთხარონ და ასე წაიწიონ წინ... ყველაფერი მეორდება, რადგან ბიძინამ თავად დაუშვა ეს სიბინძურე. მე თავიდანვე ვაკეთებდი განცხადებებს, ვუკიჟინებდი, ჭკუაზე მოდი-მეთქი, მაგრამ აქეთ დამიპირისპირდნენ, შენ „ნაციონალებს“ შეეკარიო. ახლა რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ჭაობშია, ვდგავარ და ვუყურებ, როგორ ეფლობიან უფრო ღრმად.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

რუსეთის უშიშროების ოფიცერმა აღიარა, რომ პარიზის ტერაქტების მიღმა რუსული სპეცსამსახურები დგანან

უკრაინული ტელეარხის „1+1“-ის ინფორმაციით, უკრაინის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც რუსეთიდან უკრაინაში გაიქცა, პროგრამა **ТСН.Тиждень**-ის ეთერში განაცხადა, რომ პარიზის ტერაქტებისა და ლონდონის არეულობების მიღმა კრემლი დგას. ადამიანი, სახელად ევგენი ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალისტი იყო. ის ამტკიცებს, რომ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები სავსეა აგენტებით, რომლებიც კრემლიდან იმართებიან.

ჟურნალისტები ამბობენ, რომ მათ რუსეთის უშიშროების ოფიცრის სიტყვები სიცრუის დეტექტორზე ორჯერ შეამოწმეს და მან ამ განცხადების სიმართლე დაადასტურა. ევგენის თქმით, რუსეთი დაკავშირებულია ლონდონის 2009, 2010 და 2011 წლების არეულობებთან, როდესაც ადგილობრივ რადიკალებსა და მუსლიმანებს შორის შეტაკებები მოხდა. ასევე, მას მიაჩნია, რომ რუსულ სპეცსამსახურებს „არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდათ“ პარიზში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ, რომლის შედეგად 130 ადამიანი დაიღუპა. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსულ სპეცსამსახურებს ამის მოსაწყობად ყველა საშუალება ჰქონდათ და რაც მოხდა, მათ აწყობდათ“, - აცხადებს უშიშროების ყოფილი თანამშრომელი. ის ასევე აცხადებს, რომ რუსული სპეცსამსახურები „ჰეზბოლას“ და „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებთან“ არიან დაკავშირებული. (kvira.ge)

„რევოლუცია გარდაუვალია“

ცნობილი რუსი ბიზნესმენი, **ЮКОС**-ის ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ ხოდორკოვსკი აცხადებს, რომ რუსეთში რევოლუცია გარდაუვალია.

ხოდორკოვსკის თქმით, რუსეთს სჭირდება პრეზიდენტი, რომელიც სამუდამოდ დატოვებს თავის პოსტს მაქსიმუმ ორი ვადის ამოწურვის შემდეგ. ბიზნესმენის თქმით, ქვეყანაში მოხდა „ანტიკონსტიტუციური გადატრიალება“ – ქვეყანაში იქმნება რეპრესიული კანონები, დამორჩილებული სასამართლოები.

„ამ ყველაფრის კანონიერ ჩარჩოში დაბრუნება იქნება რევოლუცია“, – განაცხადა მან და დაამატა, რომ ყველას მიზანი უნდა იყოს ამ რევოლუციის მშვიდობიანად ჩატარება.

მისივე პროგნოზით, ხელისუფლებას ყველანაირი რესურსი 2017 წლისთვის ამოეწურება. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

კარასინი: „თინა ხიდაშელის განცხადება აღემატება ყველა ზღვარს“

ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი შეხვედრის წინ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ თინა ხიდაშელის მხრიდან ანტირუსული რიტორიკა ისმის. მისი განცხადებით, რუსეთი ყურადღებით აკვირდება რომელ სამხედრო ბლოკში არიან მისი მეზობელი ქვეყნები და დასძინა, რომ რუსეთი პოზიციებს არ შეიცვლის.

როგორც კარასინმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას აღნიშნა, გასულმა წელიწადმა მშვიდად ჩაიარა, რაც მთავარი შედეგია.

– ვაჯამებთ გასული წლის შედეგებს. საერთო ჯამში, ამ წელიწადმა მშვიდად ჩაიარა. ვფიქრობ, ესაა მთავარი შედეგი. ჩვენც გვაქვს თემების დაყენების მიზეზი. მთავარი საკითხია საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან, მკაფიო ანტირუსული რიტორიკა. პირველ რიგში, ეს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს ეხება. მან განაცხადა, რომ რუსებისთვის სანქციები სულ ერთია, რადგან ეს ხალხი მიჩვეულია 90 დღე ძაღლებისა და კატების ჭამას. იგულისხმება ლენინგრადის ბლოკადა. ეს უკვე აღემატება ყველა ზღვარს, – აღნიშნა კარასინმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, რუსეთს აშფოთებს მისი სახელმწიფოს საზღვრებთან ნატოს სხვადასხვა ცენტრისა და ოფისის გახსნა.

– რაც შეეხება ნატოს, ყურადღებით ვაკვირდებით, ჩვენთვის სულ ერთი არაა, რომელ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკში არიან ჩვენი მეზობლები. რა თქმა უნდა, გვაშფოთებს რუსეთის საზღვრებთან ნატოს სხვადასხვა ცენტრისა და ოფისის გახსნა. ეჭვი არავის შეეპაროს, პოზიციას არ შევიცვლით. გეოპოლიტიკური ამოცანები ეროვნული ინტერესების მიხედვით უნდა გადაიჭრას. არჩევანი კი საქართველოს ხელისუფლებაზეა, – აცხადებს კარასინი. (pia.ge)

წლის ადამიანი ანგელა მერკელი გახდა

ბრიტანულმა გამოცემა „**TIME**“-მა წლის ადამიანი გამოავლინა. 2015 წლის ყველაზე გავლენიან ადამიანად გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გახდა.

„ბიბისის“ განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გერმანიის კანცლერის ლიდერობა გახდა ისეთ საკითხებში როგორიცაა ევროპის ვალდებულებები ლტოლვილებისა და მიგრანტების კრიზისში.

წლის პერსონის მოპოვების შანსი ანგელა მერკელთან ერთად ვლადიმერ პუტინს, დონალდ ტრამპს და კიდევ 5 ადამიანს ჰქონდა, მათ შორის იყვნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი და ირანის პრეზიდენტი. (pia.ge)

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88

„მშვენიერი განათებები კი დაკიდეს რუსთაველზე და ბედობისთვის მაინც ჩართავენ?!“ — როდის გაანათებს დედაქალაქს საახალწლო ილუმინაციები

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბიუჯეტს საახალწლო განათება საკმაოდ ძვირი დაუჯდა, თბილისელებს ახალი ილუმინაციები, რომლებიც უკვე კარგა ხანია, დამონტაჟებულია, „ლუსტრებზე“ მეტად მოეწონათ და დიდი ინტერესით ელოდებიან, როდის გაანათებს ახალი ილუმინაციები დედაქალაქს.

საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ განათებას მერია მხოლოდ 24 დეკემბერს ჩართავდა, რამაც მოსახლეობის, პრინციპში, სრულიად სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ინტერნეტშიც ბევრი გამოეხმაურა ამ ფაქტს – ზოგი მწარედ, ზოგი – ხვეწნა-მუდარით. აგერ, მაგალითებიც:

– რატომ ასე გვიან, ეგეც ნაგავზეა მიბმული?!

– ამას სჯობს, საერთოდ არ გაანათონ...

– საახალწლო განათებას უშუალოდ ახალი წლის ღამეს ჩართავენ თუ როგორაა საქმე?

– ასე „ადრე“ რად უნდოდათ, ბარემ პირველში ჩართოთ.

– მშვენიერი განათებები კი დაკიდეს რუსთაველზე და ბედობისთვის მაინც ჩართავენ?!

– ჯანდაბას, ოღონდ გაანათეთ და ჩემს „სოჩიკს“ მიაერთეთ, ვიხდი, ჩათ...ხი ვიყო!!!

– გაანათეთ, ფარჩაკებო!!!

– მაინც ჩვენს ფულებს ხარჯავენ და საახალწლოდ მაინც გვაგრძნობინეთ რაღაც სასიამოვნო...

– მიშას „ლუსტრებს“ მგონი, ჯობია, რას იტყვით? „ქოცი“ არ ვარ, არ ჩამქოლოთ...

– ნეტა, რა განათება გინდათ, რა გეახალწლებათ, გაანათებენ და რა, მერე?!.

მოკლედ, სურს ხალხს დედაქალაქი საახალწლოდ მოირთოს და აკაშკაშდეს, მერიამ კი საშველი აღარ დააყენა.

„ალია“ თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელ **ნათია თაბაგარს** ეს-აუბრა, რომელიც, სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მერიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თანამშრომელია. ის ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ გაურბის:

— ნათია, მართლა 24 დეკემბრისთვის უნდა განათდეს საახალწლო ილუმინაციები? დაიტანჯა ხალხი ლოდინით. ეს ახალი განათება ბევრს მოსწონს, თურმე.

– კი, ახალი განათება რუსთაველზე, კოსტავასა და ჭავჭავაძეზეა დამონტაჟებული. რაც შეეხება 24 დეკემბერს, ბუნებრივია, ეს მცდარი ინფორმაციაა. როგორც ვიცი, საახალწლო განათების დამონტაჟების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია და დედაქალაქი, მაქსიმუმ, მომდევნო კვირის ორშაბათს ან სამშაბათს განათდება.

— და ის ძველი ჭაღები სად გადაიტანეთ, წელსაც ვიხილავთ უზარმაზარ „ლუსტრებს“?

– რამდენადაც ვიცი, გარკვეული ნაწილი დაზიანებულია და გამოიყენებენ თუ არა, ვერ გეტყვით. შესაძლოა, რაც მწყობრიდან არ გამოსულა, სხვა მუნიციპალიტეტში დაიკიდოს, არც ესაა გამორიცხული.

აგერ, ძვირფასო დედაქალაქელებო, გაგირკვიეთ, რომ საახალწლოდ თბილისი 14-15 დეკემბრისთვის განათდება და ბარემ გეტყვით, რა დაუჯდა ეს სიამოვნება თბილისის ბიუჯეტს:

2016 წლის დასახვედრად ბიუჯეტმა არა მარტო ახალი ილუმინაციები, არამედ 22-მეტრიანი ახალი ნაძვის ხეც შეიძინა, რაც 175 573 ლარი დაჯდა. ცნობილია, რომ ნაძვის ხეს წითელი და ოქროსფერი ბურთები და ბაბთები ექნება და 45 000 ნათურით მოირთვება. ჯამში, ეს ყველაფერი კი 748 000 ლარი ჯდება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

რბილი „ლ“-ს გამომწვევი სამი მიზეზი

მეტყველების პედაგოგი თამარ სტეფანიშვილი რბილი ლასის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ სურვილის შემთხვევაში მისი გამოსწორება შესაძლებელია.

– რბილი ლასის არსებობას სამი რამ განაპირობებს. პირველი – ეს არის სმენით მიღებული პრობლემა, რომელიც ოჯახიდან ან იმ გარემოსგან მიიღო ადამიანმა, სადაც მას ხშირი ურთიერთობა უწევს. მეორე – არის შემთხვევები, როცა ადამიანები სხვებს დასცინიან, რაც ხშირად თავად ჩვევაში გადასდით და მესამე – როცა ორგანული ნაკლია – ენის კუნთის მოდუნება, ან ენის სხვა პრობლემები.

მინდა ვთქვა, რომ რბილი ლასი სირცხვილი არ არის. ამან კომპლექსი არავის არ უნდა გაუჩინოს. თუკი ადამიანს აქვს სურვილი, რომ ეს პრობლემა დაძლიოს, ის აუცილებლად მოახერხებს ამას. ჩემი პრაქტიკიდან გეტყვით, რომ ვინც ლასის გამოსწორებას ახერხებს, ის შინაგანად ისეთ კმაყოფილებასა და რწმენას იძენს, რომ შემდგომ ბევრს აღწევს ცხოვრებაში, – ამბობს სტეფანიშვილი. (ambebi.ge)

„ევროკავშირი საქართველოსა და უკრაინისთვის უვიზო რეჟიმს 2016 წელს შემოიღებს“ – Die Welt

ევროკავშირი საქართველოსთან და უკრაინასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას 2016 წლის შუა პერიოდისთვის აპირებს. ამის შესახებ გერმანული გამოცემა **Die Welt** ბრიუსელის დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით წერს.

– უვიზო მიმოსვლა ორივე ქვეყნისთვის 2016 წლის შუა პერიოდიდან იქნება გამოყენებული, – აცხადებს გამოცემის წყარო. თუმცა მისივე ინფორმაციით, 2016 წლის გაზაფხულამდე უკრაინას დასჭირდება, გააუმჯობესოს გარკვეული მიმართულებები, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

გამოცემის თანახმად, უახლოეს დღეებში საქართველოსა და უკრაინის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებით, ევროკომისია დადებით ანგარიშს გამოაქვეყნებს და ამ ქვეყნების მოქალაქეებს ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ მიმოსვლას შესთავაზებს. (ნოუმოსტი)

ზვიად ძიძიგურმა, — ბიძინა სიის პირველი ნომერი იქნებაო. ვოლსკიმ, — სიაში რა უნდაო? უსუფაშვილმა, — საარჩევნოდ ბიძინას გარეშე მოვემზადებითო...

რა ხდება კოალიციაში?

„რაც შეეხება პოლიტიკაში ივანიშვილის ღიად მოსვლას, თუ ის ჩაითრია „ოცნებამ“ თავის პრობლემებში, დღეს ისეთი განწყობაა მოსახლეობის დიდ ნაწილში, ისეთი მაღალია გაწბილების დონე, რომ ხალხი უყურებს ივანიშვილს, რომელმაც დანაპირები არ შეასრულა... მოკლედ, ასეა თუ ისე, გაწბილების ხარისხი არის ძალიან მაღალი და ამ ეტაპზე შეუძლებელია, მას ჰქონდეს მაღალი მხარდაჭერა“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურის განცხადება, რომ „ქართული ოცნება“ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას ისევ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მიიღებს, კვლავ აქტუალურია. ამიტომაცაა, რომ მისი განცხადების გაქარწყლებას ცდილობს კოალიციაში შემავალი ყველა ლიდერი, გია ვოლსკიდან დაწყებული, დავით უსუფაშვილით დამთავრებული... პარლამენტის თავმჯდომარე განმარტავს: „ბიძინა ივანიშვილმა სამწუხაროდ არ გაიზიარა ჩემი რჩევა და იმაზე ადრე დატოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი, ვიდრე უნდა დაეტოვებინა. ერთი წელი კიდევ უნდა დარჩენილიყო. კოალიციამ უნდა დაგეგმოს არჩევნებისთვის მზადება ივანიშვილის პოლიტიკური ლიდერობის გარეშე, სიის პირველ ნომრობაზეა საუბარი, თუ პრემიერმინისტრობის კანდიდატობაზე და ასე შემდეგ“.

გამოდის, კოალიცია თვლის, რომ ივანიშვილის გარეშე ისინი ფონს გავლენ და ხალხს დაუმტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ უმრავლესობის მოპოვება, თუმცა რეალობა აბსოლუტურად სხვაა.

ამ პერიოდის განმავლობაში საზოგადოება მხოლოდ იმედგაცრუებას იღებდა ხელისუფლების მხრიდან, ერთადერთი სფერო არის ჯანდაცვა, სადაც ხელისუფლების არსებობა შეინიშნება, თუმცა ეს სისტემაც ბოლომდე გაუმართავია, დანარჩენ სფეროებში არის ჩავარდნა,

ტოტალური უმუშევრობა, ლარის დევალვაცია, ეს ყველაფერი უდრის შიმშილს და ხალხის უკიდურეს გაღატაკებას. ამიტომაც, ივანიშვილის გარეშე ძნელი დასაჯერებელია, რომ ხალხმა ისეთი გაზულუქებული სახეების ატანა და გატანა შეძლოს, რასაც ამ წლების მანძილზე ვუყურებთ. სახელისუფლებო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა და დღეს „ქართული ოცნების“ მანქანა გამართულად ვერ მუშაობს, რადგან თითოეული მინისტრი თუ

საპარლამენტო ლიდერი ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნული ხელქვეითია და თითოეულ მათგანს მისი აჩრდილისაც კი ეშინია, რადგან ისინი მუშაობენ არა ხალხისთვის, არამედ იმისთვის, თუ რას იტყვის ბიძინა ივანიშვილი. ამიტომაც, რაც არ უნდა დარწმუნებული იყოს კოალიცია, რომ მის გარეშე შეძლებენ ლელოს დადებას, მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მათ გუნდში „პელე“ ღიად არ თამაშობს, გამარჯვება კი მხოლოდ პელეს შეუძლია, რომ გუნდს მოუტანოს...

კანცელარიის ყოფილი უფროსი პელას, თუ ის ჩაითრია „ოცნებამ“ თავის პრობლემებში, დღეს ისეთი განწყობაა მოსახლეობის დიდ ნაწილში, ისეთი მაღალია გაწბილების დონე, რომ ხალხი უყურებს ივანიშვილს, რომელმაც დანაპირები არ შეასრულა, ეს დაპირებები კი გარემოცვის მიერ იყო მომზადებული. ივანიშვილს არჩევნების წინ გარემოცვა ეუბნებოდა, რომ შეიძლებოდა ტარიფების ორჯერ და სამჯერ შემცირება, ცხადია, ივანიშვილი ამას ითვლიდა, მაგრამ მან არ იცოდა, რეალურად რა სურათი დახვდებოდა შიგნით. მოკლედ, ასეა თუ ისე, გაწბილების ხარისხი არის ძალიან მაღალი და ამ ეტაპზე შეუძლებელია, მას ჰქონდეს მაღალი მხარდაჭერა.

ეს ძალიან კარგად იციან „რესპუბლიკელებმა“. ის, რომ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ასე მოქმედებს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მისი ყველა განცხადება არის ჭკუის სწავლება დასავლელი ლიდერებისადმი, რომ მაგრად უნდა დაუდგეს დასავლეთი პუტინს, არაფერი არ უნდა დაუთმონ, თორემ მერე ინანებენ და ა.შ. პატარა საქართველოს შემთხვევაში მისი განცხადებები კომიკურია. ადამ მიხნიკმა თქვა ერთი კვირის წინ, — როცა სააკაშვილი ხარ, ნაპოლეონივით არ უნდა ილაპარაკო.

სააკაშვილზე ანეკდოტი, როგორც ტრე მამრაძე „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს:

— ძალიან კარგად ვიცი შექმნილი ვითარება, თუ რა ხდება კოალიციაში. გია ვოლსკი და დავით უსუფაშვილი სიმართლეს ამბობენ იმ მხრივ, რომ ამ ეტაპზე ივანიშვილს ნამდვილად არ უნდა ღიად დაბრუნება პოლიტიკაში. მას არ სურს, ეკავოს კონკრეტული პოლიტიკური პოზიცია, იყოს პარტიის ლიდერი და საარჩევნო სიაში ნომერ პირველი ეწეროს, მაგრამ სულ სხვა საქმეა, უნდა თუ არა. თვითონ გუნდში ისეთი განწყობაა, რომ ივანიშვილი გუნდის „ხაზეინია“. კოალიციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ივანიშვილი არის წყარო, როგორც მატერიალური სიკეთისა, ასევე, პოლიტიკური კეთილდღეობის. სწორედ მასზეა დამოკიდებული, ვინ იქნება საპარლამენტო სიაში, ვინ რა ადგილს დაიკავებს გამარჯვების შემთხვევაში, ვინ იქნება პრემიერი, ვინ — მინისტრი და ვინ — მათი მოადგილეები.

ცხადია, გუნდიდან ბევრი ეუბნება, – შენ რომ არ იყო, კოალიცია დაიშლება და ხალხი შენს ავტორიტეტს უყურებსო, მაგრამ თავად ბიძინა ივანიშვილს აღარ უნდა პოლიტიკაში ღიად ჩართვა, თუმცა უნდა თუ არა, არაფორმალურად ის გადამწყვეტ როლს შეასრულებს. რაც შეეხება პოლიტიკაში ივანიშვილის ღიად მოსვლას, — **თქვენი ინფორმაციით, ვინ იქნება სიის პირველი ნომერი, და როგორი ფიგურებით შეცვლიან ძველ სახეებს?**

– მე ვიცი, რომ საკმაოდ მოულოდნელი გვარები გამოჩნდნენ სიის პირველ ხუთეულში, მაგრამ მათ ვინაობას ღიად ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ სიები შესაძლოა, ბევრჯერ შეიცვალოს და მათ შორის, მნიშვნელოვნად. ამიტომ, თავს შევიკავებდი გვარების გახმაურებისგან. წესით, სია დეკემბრის ბოლოსთვის მზად უნდა იყოს. ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს თავად არ სურს იყოს სიის პირველი ნომერი და დავით უსუფაშვილმა რაც თქვა, იყო აბსოლუტური სიმართლე. ჯერ თავადაც არ იციან, საბოლოოდ ვინ გახდება სიის პირველი ნომერი.

— „რესპუბლიკურმა პარტიამ“ გასულ კვირას ყრილობა ჩაატარა და დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარტია ძალიან მალე გადაწყვეტს, დამოუკიდებლად გავალთ არჩევნებზე თუ კვლავაც კოალიციურ ფორმატში მივიღებთ მონაწილეობასო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რჩებიან თუ ცალკე იღებენ მონაწილეობას არჩევნებში და ვისთვის გააკეთეს ეს გზავნილი მათ?

— ჩვენ გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის ღია, საჯარო დამოკიდებულება „რესპუბლიკელებისადმი“, ასევე, გვახსოვს „რესპუბლიკური პარტიის“ განცხადებები, ისინი ღიად უჭერენ მხარს ალასანიას და „თავისუფალ დემოკრატებს“. ასეთ განწყობებს ივანიშვილი არ ცვლის,

ფსევდონაპოლეონზე, ბევრჯერ მომისმენია, როცა თქვა, უპირობოდ დაველაპარაკები რუსებს, ოღონდ იმ პირობით... და შემდეგ ჩამოთვალა პირობები, რაზეც მთელი დასავლეთი იცინოდა.

ასე ვა-ბანკზე არ წავიდოდა თინა ხიდაშელი, გარანტია რომ ჰქონდეს, ისევ დაპატიჟებენ კოალიციაში. ყველამ ვიცით, რომ „რესპუბლიკელები“ პარლამენტში აღმოჩნდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ივანიშვილმა შეიყვანა კოალიციაში. ხალხი ხმას აძლევდა ივანიშვილს და „რესპუბლიკელები“ აღმოჩნდნენ პარლამენტში, წინააღმდეგ შემთხვევაში „რესპუბლიკელები“ ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ, აი, როგორც მარგველაშვილი გახდა პრეზიდენტი და მას მაშინ ბიძინა მარგველაშვილს ეძახდნენ, რადგან ხალხი ხმას აძლევდა ივანიშვილს და პრეზიდენტი გახდა მარგველაშვილი, დღეს „რესპუბლიკელების“ პოზიციაც ასეთია. ერთი მხრივ, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ისინი არიან ერთადერთი, თანმიმდევრული პროდასავლური პარტია კოალიციაში, ამის ქვეტექსტი არის ასეთი, – თუ კოალიციაში არ შეგიყვანენ, მაშინ კოალიცია „ქართული ოცნება“ უარს ამბობს პროდასავლურ კურსზე. „რესპუბლიკელები“ კოალიციას გამოეყოფიან იმ შემთხვევაში, თუ დაინახავენ, რომ ივანიშვილი იღებს გადაწყვეტილებას, არჩევნებში მათ გარეშე მიიღოს კოალიციამ მონაწილეობა. ისინი გაგდებულის სახელს არ დაირქმევენ და დაასწრებენ კოალიციიდან გასვლას. ისინი თავის მოქმედებით ვაჭრობენ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

„ოცნების ხელისუფლების მოსვლას იმედით ვუყურებდით, მაგრამ რაც გვქონდა, ისიც წაგვართვით“

ახალციხეში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ზურაბ ზარნაძე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსს ზაზა სოფრომაძეს განცხადებით მიმართავს. როგორც ის ამბობს, ოჯახს, რომელსაც სოციალურად დაუცველთა შემწეობა ოთხი თვეა არ აუღია, შემოსავლის სხვა წყარო კი არ გააჩნია. იგი სოფრომაძისგან განმარტებას ითხოვს, ქულათა დათვლის ახალი სისტემით, რატომ შეუმცირდა 87 ათასი ქულა 3 ათასამდე.

„ჩვენ 2006 წლიდან სოცდაუცველთა კატეგორიას მივეკუთვნებით. „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლას იმედით ვუყურებდით, იქნებ ამოგვასუნთქოსო, მაგრამ რაც გვქონდა, ისიც წაგვართვით. ახლა სრულიად დაუმსახურებლად, 4 თვეა შეჩერებული გვქონდა შემწეობა, რაც ახალი დათვლილი ქულებით საბოლოოდ წაგვართვით. 87 000 ქულიდან ჩვენი ოჯახის ქულა ბოლოს 3000 იყო და ასეთი განსხვავება საიდან მიიღეთ? ერთადერთი შემოსავალი შემწეობა იყო და ულუკმაპუროდ დაგვტოვეთ, ანუ უფრო მძიმე არსებობისთვის გაგვწირეთ. ამას ემატება – ერთი გოჯი მიწა და საკუთარი ბინა არ გაგვაჩნია. აქ, სადაც ვცხოვრობთ, გამოგზავნეთ ვინმე და ნახეთ. თავზე გვაწვიმს და გვათოვს, მინგრეულ-მონგრეულ კედლებში და რით მოიმატა ქულებმა, წარმოუდგენელია. გთხოვთ, მოგვცეთ წერილობითი პასუხი, რის საფუძველზე აიწია სარეიტინგო ქულამ.

ჩემი ბიჭი 22 წლისაა, მაგრამ რომ შეხედო, მერვეკლასელს ჰგავს, იმის გამო, რომ გაჭირვებით გაიზარდა, უმეტესად მშიერი, თან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში. სწავლას თავიც რომ დაანებოს, რით გვარჩენს, მაგას სამსახურს ვინ მისცემს. გოგოც გაჭირვებამ დამიავადმყოფა. მერვე კლასიდან გამოვიყვანეთ იმის გამო, რომ ჩასაცმელსა და წიგნებს ვერ ავუდიოდით, მაგასაც ნორმალურ ხელფასიან სამსახურს ვინ მიცემს. მესამე შვილი 8 წლისაა, ეგ ხომ არ იმუშავებს.

დედა პენსიონერია და რაც თავი მახსოვს, სულ ავადმყოფობს. შარშან ოპერაციაც გაიკეთა და მას პენსია წამლებშიც არ ჰყოფნის. საპენსიო სესხის გამო ნახევარს იღებს. ჩემს მეუღლესაც სამსახურს ვინ მისცემს, დღეს ყველაფერი ნაცნობობითაა. ეს ხალხი მე, შშმ პირს, შემომჩერებიან ხელებში. სახლი მაინც იყოს ჩვენი, რაღაცას კიდევ მოვიფიქრებდი. რომ ვთხოვე სახლზე მთავრობას, უფლება მომეცი, საწყობი გავაკეთებინო-მეთქი – ერთ ვაჭარს უნდოდა – მაგაზე უარი მითხრეს. ანუ რა გამოდის, ხელფეხშეკრულს მეუბნება სახელმწიფო, როგორც გინდა, ისე ირჩინეთ თავიო. მე მრცხვენია, დახმარებას რომ ვითხოვ.

ახლა იმას მაყვედრის დღევანდელი ხელისუფლება, საარსებო შემწეობა რომ მოგვცეს. ესაა სამართალი? ეს არაა ქართული ოცნება. მე ვიხსნი შედეგებზე პასუხისმგებლობას და ვაკისრებ ამ პასუხისმგებლობას სოციალურ სამსახურს. მე არ ვიცი, რას გავუძლებ და სადამდე“, – აცხადებს ზარნაძე. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

სტამბულში ამერიკის გენერალურმა საკონსულომ მუშაობა დროებით შეაჩერა

სტამბულში ამერიკის გენერალურმა საკონსულომ სავარაუდო საფრთხისა და მოქალაქეების დაცვის მიზნით მუშაობა დროებით შეაჩერა. ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „თაიმი“ ავრცელებს. მედიასაშუალების ცნობით, რა კონკრეტულ საფრთხეზეა საუბარი, ამ დროისთვის ინფორმაცია არ ვრცელდება.

ამასთანავე, ცნობილია ის, რომ საკონსულოები ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას იზმირში, ანკარასა და სხვა ქალაქებში.

ამერიკის საელჩომ ასევე გაავრცელა მიმართვა, რომლითაც საკუთარ მოქალაქეებს სიფრთხილისა და ხალხმრავალ ადგილებში გადაადგილებებისგან თავშეკავებას ურჩევს. (ინტერპრესნიუსი)

„ბოტანიკურ ბაღში ვინმემ კაფეები და რესტორნები რომ გახსნას, ჩათვალეთ, ის აღარ იარსებებს“

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძის განცხადებით, ბოტანიკურ ბაღში კაპიტალური მშენებლობა და გასართობი ღონისძიებების მოწყობა დაუშვებელია.

– თბილისის ბოტანიკურ ბაღს 300-წლიანი ისტორია აქვს, ეს არის უნიკალური სამეცნიერო დაწესებულება, მასში უნიკალური კოლექციებია შენახული. ბევრი ქალაქი იამაყებდა ასეთი ბოტანიკური ბაღით. მე არ ვიცი საკადრო პოლიტიკა, რა და როგორ ხდება, მაგრამ ერთი რამ ვიცი, შიგნით რამე გასართობი ღონისძიებების მოწყობა, როგორც ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებაში, არ შეიძლება. იქ რომ ვინმემ კაფეები და რესტორნები გახსნას, ჩათვალეთ, რომ ბოტანიკური ბაღი აღარ იარსებებს. უცხოეთში, ბოტანიკურ ბაღებში საჭმლის შეტანაც კი აკრძალულია, – განაცხადა ჩხობაძემ.

მისივე განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციები იბრძოლებენ თბილისის ბოტანიკური ბაღის გადასარჩენად.

– ვფიქრობთ, არა მარტო ჩვენი ორგანიზაცია, არამედ ბევრი ორგანიზაცია გაერთიანდება, რათა თბილისის უნიკალური ისტორია გადავარჩინოთ, რასაც თბილისის ბოტანიკური ბაღი ჰქვია, – აცხადებს ჩხობაძე. (pia.ge)

რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საახალწლო ფოიერვერკები და „ასაფეთქებლები“ უბედურების მიზეზი არ გახდეს

ეს თემა უკვე ისე მწვავედ დგას, ალბათ, ახსნაც არ სჭირდება, რატომ უნდა ვისაუბროთ ამაზე. უბედური შემთხვევები არ წყდება და ამიტომ კიდევ ერთხელ ვეცადოთ, ცოტათი მაინც დავიცვათ თავი.

თუ მაინც იყიდეთ და ახალ წელს პიროტექნიკის გამოყენებას აპირებთ, ელემენტარული უსაფრთხოების წესები ყველამ უნდა დავიცვათ, რათა დღესასწაული სადარდებლად არ გვექცეს.

ბაზარი სავსეა ამ პროდუქციით და მისი რეალიზაციის პროცესს არავინ აკონტროლებს. რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საახალწლო ფოიერვერკები და „ასაფეთქებლები“ უბედური შემთხვევის მიზეზი არ გახდეს? **კითხვებს პიროტექნიკოსი ბადრი ფარცვანია პასუხობს.**

— რას ნიშნავს ხარისხიანი და უხარისხო პიროტექნიკა?

– ხარისხიანი პიროტექნიკა გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში, არ უნდა იყოს დარღვეული შენახვის პირობები. ეს მასალა გემით შემოდის და შესაძლოა, ნესტი შეეპაროს. დაზიანებული ტკაცუნა შემდეგ დაგვიანებით ფეთქდება და შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოიტანოს. ან საერთოდ არ აფეთქდეს და თანხა დაკარგული აღმოჩნდეს. გარდა ამისა, გასართობ პიროტექნიკას აქვს შენახვის ვადა, დაახლოებით 2 წელი. ეს ვადებიც დაცული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი იგივე იქნება, რაც უკვე ვახსენე. ხარისხიან ნაწარმს აუცილებლად უნდა ეწეროს მოხმარების წესები. გარდა ამისა, არსებობს დენთის დოზის სტანდარტი, რაც დარღვეული არ უნდა იყოს.

— ჩვენ, მომხმარებლებმა, როგორ უნდა განვასხვავოთ, რომელია უსაფრთხო და რომელი საშიში ასაფეთქებელი. რაიმე პრინციპი არსებობს, რაც უნდა გავითვალისწინოთ ამ პროდუქტის შეძენისას?

– შეძენისას საკმარისია დააკვირდეთ წარწერას და გაითვალისწინოთ, რომელი ასაკიდან არის დაშვებული მისი გამოყენება. ნესტსა და წვიმაში დაწყობილი არ უნდა შეიძინოთ, რისი მიზეზიც უკვე ავხსენი. შეძენის შემდეგ კი მთავარია, ის სწორად გამოიყენოთ – ცეცხლის მოკიდებისთანავე აუცილებლად გადააგდეთ და სანამ არ აფეთქდება, ახლოს არ მიხვიდეთ. სხვის უსაფრთხოებაზეც იზრუნეთ – არავის ესროლოთ, ჯიბეში არ ჩაუდოთ, ღუმელში არ შეაგდოთ. აკრძალულია ამ ასაფეთქებლების ბოთლებში, ქილებსა და ნებისმიერ სხვა ჭურჭელში აფეთქება. თუ წესებს დაიცავთ, საშიში არაფერი მოხდება.

— ასაფეთქებლებს ახალ წლამდეც ვყიდულობთ და დღესასწაულის მერეც შემოგვრჩება ხოლმე სახლში. თავისით რომ აფეთქდეს, ამის საშიშროება არსებობს?

– ნაპერწკლის გარეშე არაფერი ფეთქდება, სამაგიეროდ ყურადღებით იყავით, რომ ნაპერწკლის კერასთან ახლოს არ აღმოჩნდეს. მოარიდეთ ნესტს, რომ შემდეგ პრობლემები არ შეგექმნათ.

— თუ რომელიმე სახლიდან გამოსროლილი ტკაცუნა ჩემს ბინაში მოხვდება, არსებობს საშიშროება, რომ ხანძარი გამოიწვიოს?

– ხანძარი შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. რომაულმა ასაფეთქებელმა, რომელიც ჰაერში სკდება და ნაპერწკლებს ისვრის. ნაპერწკალი ყოველთვის საშიშია, ამიტომ მფლობელმა წესების დაცვით, ზევით უნდა ისროლოს და არა ირიბად...

წელს ბაზრობაზე ძალიან ბევრი ასეთი ასაფეთქებელი გაიყიდა. ისინი პატარა ზომისაც არსებობს, მაგრამ წელს მასობრივად გამოჩნდა მსხვილკალიბრიანი მილები. მათ სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები სჭირდება. კატეგორიულად აკრძალულია ამ მილების ხელში ჭერა, როცა ისვრის.

ის ვერტიკალური მიმართულებით უნდა დაამაგროთ რამეზე, მოუკიდოთ და რამდენიმე მეტრით მოშორდეთ, თავად გაისვრის. ჩვენთან კი ეს მილები ბავშვებს ხელში უჭირავთ და ერთმანეთსაც უმიზნებენ. შეიძლება რომელიმე გასროლა დაყოვნდეს და ბავშვმა შიგნით ჩაიხედოს და თუ ამ დროს გაისროლა, თვალს დაკარგავს. ხელში ჭერის დროსაც შეიძლება გასკდეს. ამიტომ აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს.

როცა ეს პროდუქცია შემოგვაქვს, მწარმოებლის სერტიფიკატში აღნიშნულია, რომ მათი 10 პროცენტი დაზიანების რისკს შეიცავს. ანუ რისკი ამ მოწყობილობებს დამზადებისთანავე ახლავს, ამიტომ წესების დაცვა აუცილებელია.

— შუშხუნას ძალიან სპეციფიკური სუნი აქვს. რით არის ეს სუნი გამოწვეული და ხომ არ არის ტოქსიკური?

– სუნი წვისა და აფეთქების ნებისმიერ პროცესს ახლავს. სანთელიც არ იწვის უსუნოდ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ არც ერთი ტკაცუნა ოთახში და დახურულ სივრცეში აფეთქებისთვის არ არის გამიზნული. (mshoblebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

აი, თუ არ ვაშუქებთ „ოცნების“ მიერ გაკეთებულ კარგ საქმეებს!

დეპუტატ ლუკა კურტანიძის ინფორმაციით, დაღუპული პოლიციელების ოჯახების დახმარების მიზნით დაწესებული 1000 ლარი იმ პოლიციელთა ოჯახებმაც მიიღეს, რომლებიც წლების წინათ დაიღუპნენ.

კურტანიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ყვარელში, 1995 წელს სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულ ოთხ პოლიციელზე ისაუბრა.

– საფუძველი ჩაეყარა კეთილ წამოწყებას – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციის თანამშრომლების ოჯახებისთვის დახმარების გაწევა მოხდება. საუბარი მაქვს კონკრეტულად ყვარლის საქმეზე, რომელიც 1995 წელს მოხდა და სადაც ოთხი პოლიციელი დაიღუპა. ამ ადამიანების ისტორია დაიკარგა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო ჩარევით და ქმედებით საკითხი წამოიწია. მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი იქნებიან ყოველთვიური დახმარებით – 1000 ლარის ოდენობით. სწორედ ამ ოჯახების ტკივილი მოვიდა ჩვენამდე და უსწრაფესად იქნა მოგვარებული მათი პრობლემები, – განაცხადა კურტანიძემ პარლამენტის სხდომაზე. (ინტერპრესნიუსი)

„ნაცების“ არაადამიანობას ყერასოდეს დაყიყიწყებთ, ზუსტად ისე, როგორც „ოცნების“ ამჩემფესებობა არ დააყიწყდება არაყის!

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი პროკურატურას და ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურას მიმართავს, არც ერთი საკითხი, რაზეც ბრალდებები ისმის, პასუხის გარეშე არ დატოვოს.

როგორც ვოლსკიმ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფრო მეტი შემოტევა და სპეკულაცია იქნება.

– ახლა რომელიმე ჩვენგანი რომ გამოვიდეს და თქვას, რომ სწორედაც ალეკო ელისაშვილს, რომელმაც ამდენი ხნის დუმილი დაარღვია, დღეს ვიღაცამ ფული შესთავაზა, მისცა, ჩაუთვალა და ამით არის მისი აღელვება და ასეთი განცხადებები გამოწვეული, ეს არ იქნება სწორი არც ალეკო ელისაშვილის მიმართ, არც საზოგადოების მიმართ, რომელიც ჩვენ გვისმენს. აი, იმ სიებზე (პოლიტპატიმართა სიები) რომ არის საუბარი, რომ თურმე სიებიც ფულის სანაცვლოდ იყო ჩამოყალიბებული, არსებობს მეორე ხმაც, რომ იმ ადამიანთა უმრავლესობას ციხეებში არა მარტო აწამებდნენ, არამედ სიცოცხლესა და ღირსებას ართმევდნენ. რომელი ხმა არის უფრო რეალური და რეალობასთან ახლოს? მოდით, ავწონოთ და აქედან გამომდინარე ვიმსჯელოთ, როგორ და რისთვის დგებოდა სიები და ვინ იყვნენ პოლიტპატიმრები, მოდით, ნუ დავიჯერებთ იმას, რომ პოლიტიკური ნიშნით ადამიანებს არათუ ასამართლებდნენ, არამედ მიწასთან ასწორებდნენ მათაც, მათ ოჯახებსაც და ბევრ ადამიანს კიდევ არა მხოლოდ პატიმრებს, არამედ გარეთ მყოფებსაც მათ შორის. მგონია, შემოტევები იქნება, ამ თემაზე სპეკულირება იქნება. სამწუხაროდ, ეს ახასიათებს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას და რაც დრო გავა, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, უფრო მწვავე განცხადებები იქნება, – აცხადებს ვოლსკი. (ინტერპრესნიუსი)

„ოცნებამ“ საარჩევნოდ მზადება ბაგა-ბაღების დირექტორების მოხსნით დაიწყო?

როგორ ამზადებს „ქართული ოცნება“ თბილისის ბაგა-ბაღებს წინასაარჩევნოდ და რატომ ხორციელდება საკადრო ცვლილებები საბავშვო ბაღებში?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი, თამთა შამათავა ესაუბრა:

– მას შემდეგ, რაც ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელისუფლება შეიცვალა და ბაღების სააგენტოს მართვა თემურ თორდინავამ გადაიბარა, ხელისუფლებას იმ დღიდანვე ჰქონდა ცდუნება, რომ საკადრო ცვლილებები გაეტარებინა საბავშვო ბაღებში და პირველ რიგში დირექტორები და მათი მოადგილეები შეეცვალა. საფუძვლად კი ამას ედო ის, რომ ეს ადამიანები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კადრები. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი ადგილებზე დარჩენა საფრთხის შემცველი გახდებოდა, განსაკუთრებით, საარჩევნო პერიოდში. შესაბამისად, დაიწყეს გარკვეული სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა. პირველ ეტაპზე გაათავისუფლეს დირექტორის მოადგილეები, თემურ თორდინავამ ეს დავალება მისცა ყველა დირექტორს, დირექტორების უმრავლესობა თავის დროზე ხელშეკრულებით იყო აყვანილი, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ როდესაც კადრი ხელშეკრულებით აგყავს სამ წელზე მეტი ვადით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ ეს ადამიანები ითვლებიან, ფაქტობრივად, უვადოდ დანიშნულებად. ამ კადრებს კი, ბაღების დირექტორებს და მათ მოადგილეებს, დაახლოებით, 3-დან 5 წლამდე მუშაობის სტაჟი ჰქონდათ. შესაბამისად, თორდინავას დავალებებმა თავის დროზე „კარგად“ არ იმუშავა.

— მიხვდნენ რომ კანონს არღვევდნენ და გაჩერდნენ?

– მიხვდნენ, რომ არღვევდნენ, მაგრამ ამის შემდეგ ამოქმედდა გეგმა „ბ“ და თქვენც გეწერათ, ბაღების დირექტორების მოადგილეებს მოსთხოვეს დიპლომები. ვისაც ასეთი არ აღმოაჩნდა, ყველა სამსახურიდან გაშვების კანდიდატი გახდა. თემურ თორდინავამ 2015 წლის დასაწყისში მოინდომა თავისუფალი კანონების შემოტანა, უნდოდა კანონში გაჩენილიყო ჩანაწერი, რომლითაც ბაღების სააგენტოს და თბილისის მერიას ექნებოდათ საშუალება, თავიდან ჩაეტარებინათ ატესტაცია ბაღების გამგეებისთვის. მათ რაღაც ნაწილში მოახერხეს ცვლილების შეტანა და ბაღების სააგენტოს დირექტორი ერთპიროვნულად წყვეტს, როდის დანიშნოს გამოცდები, როდის გაუშვას ბაღის დირექტორი და ა.შ. ანუ, საბოლოო ჯამში, მოიმზადეს სამართლებრივი ბაზა.

გაზაფხულიდან ეს სტრატეგიული ბრძოლა ღია ბრძოლაში გადავიდა. ადრე გვაქვს თქვენთვის ნათქვამი, რომ საბავშვო ბაღებში კადრების მხრივ გადაწყვეტილების მიმღები გახლავთ ჯაბა სამუშიას მეუღლე ნინო გრძელიძე, რომელიც თავიდან ბოლომდე განაგებს საკადრო პოლიტიკას, იმიტომ რომ, ეს ადამიანი მათთვის პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე სანდოა.

ამ საქმეში ნინო გრძელიძეს ეხმარება ბაღების მონიტორინგის ხელმძღვანელი იმედა ბერაძე – ჭორვილიდან, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, ორჯერაა ნასამართლევი „ბარიგობისთვის“. აი, სწორედ ამ ადამიანებს ევალებათ საკადრო საკითხების გადაწყვეტა. მოკლედ, თემურ თორდინავა იღებს დავალებებს სუს-ისგან, კონკრეტულ სიებს აწვდიან, ვინ უნდა დაინიშნოს და ვინ უნდა განთავისუფლდეს თბილისის ბაგა-ბაღებში. თორდინავა, თავის მხრივ, დავალებებს აძლევს ნინო გრძელიძეს, რომელსაც ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანაში ეხმარება იმედა ბერაძე და სწორედ ეს ადამიანი შემდეგ თითხნის კონკრეტულ საქმეებს, რომლის საფუძველზეც ათავისუფლებენ ამა თუ იმ კადრს. თვითონ სუს-ს კი ამ ადამიანების სიას „ქართული ოცნება“ აწვდის, რომლებსაც წინასწარ აქვთ გათვლილი, ვინ სად სჭირდებათ, ან არ სჭირდებათ, ანუ ყველაფერი მორგებულია ხელისუფლების პოლიტიკურ გემოვნებაზე.

— როგორც ვიცი, ბაღებიდან დირექტორების და მოადგილეების განთავისუფლება შეჩერდა...

– თორდინავამ თავის დროზე პირველ რიგში არ დაარტყა დირექტორებს, დაიწყო მათი დაბარება და დავალებების მიცემა – გაეთავისუფლებინა ესა თუ ის ადამიანები. ზოგს ბუღალტრის მოხსნა დაავალა, ზოგს – მოადგილის, რომელთა ხარჯზეც შემდეგ უნდა მიეღოთ „ქართული ოცნების“ პარტაქტივი.

ბაღების მასშტაბით აღმოჩნდა ბევრი ისეთი დირექტორი, რომლებიც თორდინავას ამ დავალებებს შეეწინააღმდეგნენ და შესაბამისად, შედეგი საკუთარ თავზე იწვნიეს. ერთ კონკრეტულ დირექტორს დაგისახელებთ, ასეთი გახლავთ 166-ე ბაგა-ბაღის დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი, რომელმაც ამ ყველაფერზე საჯაროდ ისაუბრა. ამ ადამიანმა პირდაპირ თქვა, რომ დაავალეს, კონკრეტული ადამიანი გაეთავისუფლებინა. მათ ეს დავალება მხოლოდ სიტყვიერად კი არა, წერილობითაც მიაწოდეს, შესაბამისად, ამ ადამიანმა წერილობით მისწერა კონკრეტულ სააგენტოს, რომ არ არსებობდა ამ კადრის განთავისუფლების საფუძველი და მას ვერ გაათავისუფლებდა.

ამის მერე ძალიან სწრაფადვე ფიქრია ჩახნაშვილი მოხსნეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნეს სხვა ადამიანი. მსგავსი შემთხვევა მოხდა მოსკოვის პროსპექტზეც. უამრავი თანამშრომელი გვწერს განთავისუფლების თაობაზე, ამავდროულად წყაროები გვიდასტურებენ, რომ დაწყებულია „ქართული ოცნების“ კოორდინატორების გადამზადება, რომლებმაც უნდა დაიკავონ ეს კონკრეტული თანამდებობები.

ამას მოწმობს 166-ე ბაგა-ბაღის დირექტორი, რომელიც დაინიშნა ჩახნაშვილის ადგილზე ყოველგვარი კონკურსის გარეშე. ჩვენივე ინფორმაციით, 15 იანვარს ძალიან ბევრი თანამშრომლის ხელშეკრულებას გასდის ვადა და ყველა ის ადამიანი, რომელიც სუს-ს არ მოსწონს, უნდა გაათავისუფლონ და ხელშეკრულება შეუწყვიტონ. ამ წინასაარჩევნოდ აქცენტი გაკეთებულია ბაღების დირექტორებზე იმიტომ, რომ ეს ადამიანები არიან ძირითადად საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და ა.შ. ძირითადად ამ ადამიანებს უწევთ იქ ტრიალი, „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობს, ბაღის ყველა კადრი იყოს მათი წარმომადგენელი, ანუ „ქართული ოცნებისთვის“ სანდო ადამიანი, მათ ძალიან მარტივი რამისთვის სჭირდებათ ეს სანდო ადამიანები. იციან, როგორც კი დასჭირდებათ რაიმე სათავისოდ წინასაარჩევნოდ, ამის გამკეთებელი არის პარტიის აქტიური წარმომადგენელი. როგორც წესი, დავალებებს ეს კატეგორია ასრულებს.

„ქართული ოცნება“ პირდაპირი გაგებით ტენის მათ ბაღებში, რათა შემდეგ აკონტროლოს ეს ადამიანები. მათი მთავარი მიზანია 2016 წლამდე მიაღწიონ, ფაქტობრივად, ვა-ბანკზე არიან წასულები. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევა იყო მოსკოვის გამზირზეც, დირექტორს ჯერ კადრები გაათავისუფლებინეს, შემდეგ თავად დირექტორი მოიშორეს თავიდან. შესაბამისად, მოვუწოდებ ბაღების ყველა დირექტორს, ნუ შეეყვებიან ამ უსამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში ბაღების სააგენტოს, გაუწიონ მათ წინააღმდეგობა. თუ ისინი მართლები, კეთილსინდისიერები არიან, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ნუ გაათავისუფლებენ უკანონოდ ამდენ ადამიანს და ნუ დატოვებენ მათ ლუკმაპურის გარეშე, კარგად იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი კეთდება პოლიტიკური სცენარის მიხედვით.

თამთა შამათავასთან საუბრის შემდეგ, „ალია“ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს პრესსამსახურს დაუკავშირდა. თამარ კვირტია თამთა შამათავას მიერ მოწოდებული ინფორმაციების საქმის კურსში ჩავაყენეთ: „აბსურდია და ამ თემებზე კომენტარს არ გავაკეთებთ“, — გვითხრა კვირტიამ.

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მიმართავს

გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში სარეალიზაციოდ გამოტანილი ვირის ხორცი გამოჩნდა, სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ ვირის ხორცის დახლზე აღმოჩენის თაობაზე, მოქალაქეების მხრიდან მათთან შეტყობინება არ შესულა.

სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, არ შეიძინონ ხორცი ისეთ ადგილებში, სადაც დაცული არ არის შენახვის სათანადო პირობები - ტემპერატურული რეჟიმი და ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმები. ამასთანავე, სააგენტო მიმართავს მომხმარებლებს, ხორცის შეძენისას გაითვალისწინონ, რომ ცხოველი სასაკლაოზე ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს დაკლული და მოითხოვონ „ფორმა №2“.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, მათ მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებული რეალიზატორების მიერ სარეალიზაციო ხორცის კონტროლის უფლებამოსილება აქვთ, რასაც ვერ ახორციელებს გარემოვაჭრეების მიერ გასაყიდად გატანილ ხორცზე. თუ მოქალაქეები საეჭვო წარმომავლობის ხორცს აღმოაჩენენ, სააგენტო მათ მოუწოდებს, დარეკონ „ცხელ ხაზზე“: 2 91-91-68; 2 91-91-67. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

„რესპუბლიკელებს“ ძალაუფლების დაკარგვის შიში, რადიკალური ნაბიჯების გადადგმის საშუალებას არ მისცემს“

„რესპუბლიკელებისა“ და კოალიცია „ქართულ ოცნების“ განცხადებებზე, ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი საუბრობს:

— ბატონო გია, რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიციაში „პატრიოტთა ალიანსის“ შემოყვანას ცდილობს, რითაც ისინი აიძულებენ „რესპუბლიკურ პარტიას“, დატოვონ კოალიცია.

– „რესპუბლიკელთა“ აზრით, დღეს კოალიცია „რესპუბლიკურ პარტიაზე“ დგას. ამასთანავე, მათ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში.

— თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა „რესპუბლიკელთა“ მხრიდან კოალიციის დატოვება და რა ფასად დაუჯდება ეს „ქართულ ოცნებას“?

– ვფიქრობ, ეს ნაკლებად სავარაუდოა... „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში მაინცდამაინც არ უყვართ. კოალიციის გუნდის ნაწილსა და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის ფუნდამენტური და მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობის ფონზე, ეს, ბუნებრივია, პრობლემებს მუდმივად ქმნის და ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთსიძულვილშიც კი გადადის ხოლმე. რაც შეეხება „რესპუბლიკელების“ განსაკუთრებულ დამსახურებას, მათ აქვთ ისეთივე დამსახურება, როგორც ნებისმიერ, კოალიციაში შემავალ სხვა პარტიას და ახლა ძალიან ბევრსაც ნუ აიღებენ თავიანთ თავზე...

არ მიმაჩნია, რომ კოალიცია დაიშლება, თუნდაც ასეთი ურთიერთსიძულვილისა და შეუთანხმებლობის ფონზე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასში გაერთიანებული ყველა პოლიტიკური ძალა საკუთარ უსუსურობას გრძნობს. ისინი ძალიან შეეჩვივნენ ძალაუფლებას და ასევე, ძალიან კარგადაც ესმით, რომ იმდენად უსუსურები არიან, მათი ხელისუფლებაში დარჩენის ერთადერთი შანსი, ბიძინა ივანიშვილის მხარზე აცოცებაა. ანუ ის, ვინც დღეს ბიძინა ივანიშვილისგან დისტანცირებას მოახდენს, ყველა ძალაუფლების დაკარგვისთვისაა განწირული. აქედან გამომდინარე, არც „რესპუბლიკელებს“ და არც სხვა სუბიექტებს, ეს უსუსურობა არ მისცემს საშუალებას, ამ მიმართულებით რადიკალური ნაბიჯები გადადგან... ისინი ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ და ბევრ რამეზეც დახუჭავენ თვალს, რათა ის სიკეთე შეინარჩუნონ, რაც ჭარბ ძალაუფლებას მოაქვს! (ოვერიონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

ბაღდადში შიიტურ მეჩეთთან თვითმკვლელმა ტერორისტმა რვა ადამიანი იმსხვერპლა

ბაღდადში თვითმკვლელმა-ტერორისტმა შიიტურ მეჩეთთან თავი აიფეთქა. ამის შესახებ უცხოური მედია წერს. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქების შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 10 დაშავდა.

მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია. (ინტერპრესნიუსი)

დიმიტრი მედვედევის განმარტებით, თურქეთსა და ეგვიპტეში ფრენები რუსეთმა ტერაქტის განმეორების საფრთხის გამო შეწყვიტა

– რიგ ქვეყნებში ფრენების აკრძალვა ტერაქტის განმეორების საფრთხის გამოა შემოღებული, – ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა.

მედვედევი ახლო აღმოსავლეთში ტერაქტების განმეორების საფრთხეებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს გახდა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველი, შეეწყვიტა ტურისტული რეისები ეგვიპტესა და თურქეთში.

– იქიდან გამომდინარე, რა მასშტაბები მიიღო ამ წელს ტერორიზმმა, ასეთი ტერორისტული აქტების გამეორება საჰაერო სივრცეში, სამწუხაროდ, ისევ შესაძლებელია. მხედველობაში მაქვს კონკრეტულად ახლო აღმოსავლეთი, – განაცხადა მედვედევმა.

როგორც რუსეთის პრემიერმა აღნიშნა, უცხოეთში დასვენებასა და მოქალაქეების უსაფრთხოებას შორის რუსეთის ხელისუფლებამ არჩევანი საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების სასარგებლოდ გააკეთა და აქედან გამომდინარე, აიკრძალა ტურისტული ფრენები თურქეთსა და ეგვიპტეში. (ინტერპრესნიუსი)

ძალადობისგან მხოლოდ ქალების კი არა, არავის დასაცავად არ ვარგა მხოლოდ კარგი კანონები, ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, საჭიროა იარაღის ლეგალიზება კანონმორჩილი მოქალაქეებისთვის

თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს კარგი კანონები აქვს იმისთვის, რომ აღკვეთოს ქალთა მიმართ ძალადობა, თუმცა, მხოლოდ ეს საკმარისი არ არის და ამ კანონების პრაქტიკული განხორციელება უმნიშვნელოვანესია

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სტამბულში გლობალურ კონფერენციაზე განაცხადა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებს ეძღვნება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი კონფერენციის მონაწილეთა წინაშე სიტყვით გამოვიდა და კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ, ასევე, ამ კუთხით საქართველოში გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა, რომელთაც სათავეში იუსტიციის სამინისტრო უდგას. მინისტრის განცხადებით, სიმბოლურია, რომ ეს შეხვედრა სტამბულში ტარდება, ქალაქში, სადაც 4 წლის წინათ ქალთა უფლებების დასაცავად ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს – სტამბულის კონვენციას.

– ადამიანის უფლებები, ქალთა უფლებები საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. სწორედ ამჟამად ჩვენ პირველად ვახორციელებთ ადამიანის უფლებათა 7-წლიან სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა. ამას გარდა, საქართველოს უკვე აქვს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა. ამაყი ვარ იმით, რომ სტამბულის კონვენციას ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, ბატონ იაგლანდთან, ერთად გასულ წელს მოვაწერე ხელი. ჩვენ მალე ამ კონვენციის რატიფიცირებას მოვახდენთ, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ კონვენციის რატიფიცირება; ეს იქნება 20 კანონში ცვლილებათა პაკეტის დამტკიცებაც, რითაც კონვენციასთან შესაბამისობაში მოვიყვანთ ეროვნულ კანონმდებლობას, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (pia.ge)

ძალადობის საწინააღმდეგო კონფერენციას, თანაც — გლობალურსაო, კაცო, ესწრება იუსტიციის მინისტრი, რომელიც ძალადობისთვის, ძარცვისთვის, მკვლელობისთვის წირავს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს და იარაღის დაკანონებას ეწინააღმდეგება.

არ ფიქრობთ, ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, რომ, მსუბუქად თუ ვიტყვით, უხერხულია ძალადობის საწინააღმდეგო კონფერენციაში თქვენ მონაწილეობდეთ?

რატომ და იმიტომ, რომ კარგით, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც იარაღი ლეგალიზებულია, აბსოლუტურად ყველა სახის დანაშაული — ძარცვა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, მკვლელობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მათი სტატისტიკა სწორედ ამაზე მეტყველებს და ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დაგვიწერია კიდეც, მაგრამ არ გინდათ, გაიგოთ. არ გინდათ, შეიგნოთ, რომ თქვენი მოღალატეობრივი პოზიციით პრაქტიკულად კრიმინალების მფარველი დედა ტერეზა გამოდიხართ და სასიკვდილოდ წირავთ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს.

კონფერენციებზე საზოგადოების წინ გამოსვლას და ბრტყელ-ბრტყელი განცხადებების კეთებას წინ რა უდგას — სულ ცოტა გამბედაობაა საჭირო და დაზუთხულ ტექსტსაც რიხინ-რიხინით ჩაამთავრებთ. რაც შეეხება გამბედაობას, იარაღის დაკანონებასთან მიმართებაში, აი, ეს კი არ გაგაჩნიათ და არც იმას უსმენთ, ვისაც რაღაც მაინც გაეგება. მაშინ ადექით და ევროპელებსა და ამერიკელებს მაინც დაეკითხეთ, იქნებ ჩვენ ვიტყუებით და არ უმოქმედია დანაშაულების სიხშირეზე იარაღის დაკანონებას? ოღონდ რა პასუხსაც მიიღებთ, არ დაგვიმალოთ და პირდაპირ გვითხარით, პირდაპირ აღიარეთ, რომ ცდებოდით, შემდეგ კი ის გააკეთეთ, რაც გასაკეთებელია!..

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

ომარ ნიშნიანიძე: „ძალაუფლება, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, კარგავს ყოველგვარ მიმზიდველობას“ — აი, თურმე, რა ყოფილა!..

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, უმცირესობის წევრები 2 ოქტომბერს პარლამენტთან მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებული ბავშვებით სპეკულირებენ.

– პოლ ვალერის სიტყვებია: „ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე კარგავს ყოველგვარ მიმზიდველობას“. ქვეყანამ, ხელისუფლებამ და ძალაუფლებამ ნამდვილად დაკარგა მიმზიდველობა, რადგან ჩვენ ბოროტად არ ვიყენებთ ძალაუფლებას. თქვენი გამოსვლა მიზანმიმართული დემაგოგიაა და სპეკულირება იმ ბავშვების ბედით, რომლებიც პარლამენტთან დააკავეს.

როდესაც თქვენ პროკურატურასა და სასამართლოზე ლაპარაკობთ, როგორ შეიძლება არ გაიხსენოთ თქვენი წარსული. რას უშვრებოდით ტელევიზიასა და ჟურნალისტებს. როდესაც ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირს ლორთქიფანიძის პიჯაკს ადარებთ, შეადარეთ მაშინ ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი თუნდაც ვალერი გელაშვილისა და კობა დავითაშვილის ცემას. რას დაამგვანეთ ეს ადამიანები. ამიტომაც მგონია, როცა სასამართლოზე ლაპარაკობთ, ეს არის დემაგოგია. თქვენი ხელმძღვანელი იყო მეფე დესპოტივით, რომლის ხელში იყო მთელი სამი შტო ხელისუფლების და მათ შორის მედიაც. რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. კიდევ კარგი, ჩვენს მოსახლეობას ესმის, რა დემაგოგები ხართ. ამიტომ, როცა პირიდან სიტყვის ფაღარათი გჭირთ, ერთხელ მაინც სიმართლე წამოგცდეთ მაგ პირიდან, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ. (რეპორტორი)

კარგი რამე უთქვამს პოლ ვალერის, ვაღიარებთ, არ ვიცოდით, თუმცა ჩვენ უკეთესს გეტყვით, ომარ ბატონო — ლორდ ექტონს უთქვამს თავის დროზე: „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“. ჰოდა, სწორედ ასე აბსოლუტურად გარყვნა ძალაუფლებამ „ნაციონალები“ და აბსოლუტურად რყვნის ძალაუფლება „ქართულ ოცნებასაც“.

ჰო, კი ამბობთ, ჩვენ არა, თქვენო, „ნაცებმა“ აწამეთ ხალხიო, გელაშვილიცა და დავითაშვილიცო, მაგრამ რომ ვუფიქრდებით, რა დასკვნამდე მივდივართ, იცით? თუ სააკაშვილი და მისი ხროვა პირდაპირ ფიზიკურად ანადგურებდა ქვეყანას, „ქართული ოცნება“ თავისი უმოქმედობითა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით მორალურად, ფსიქოლოგიურად გვანადგურებს. შედეგი კი ორივე შემთხვევაში ერთია. მაშ, რაღა სხვაობაა ამ ორ ძალას შორის? არავითარი!!!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

თქვენი ვერაფერი გაგიგეთ, ბატონო პრემიერო — პატრიარქის პოზიცია ხან გაღელვებთ, ხან — საერთოდ არ გაინტერესებთ?!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე უმასპინძლა.

– 2012 წელს, როდესაც ჩვენ მოვედით ქვეყნის სათავეში, ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა ისეთი მთავრობა, როგორიც შეეფერება ჩვენს ხალხს, რომელსაც ის ემსახურება. ჩვენ ვამაყობთ ანტიდისკრიმინაციული კანონით, რომელიც ახლახან მივიღეთ და რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვის საკითხები, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას. (რეპორტორი)

თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო პრემიერო, ანტიდისკრიმინაციული კანონი „თქვენი ხალხის“ აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო. რაც მთავარია, მიუღებელი იყო ეს კანონი პატრიარქისთვის. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის წინ ილია მეორის პირველივე სიტყვას — მასაც ჰქონოდა პატიმრების შეწყალების საშუალება, დაუყოვნებლივ გამოეხმაურეთ, არიქა, განიხილოს პრეზიდენტმა და პარლამენტმაო...

ვერაფერი გაგიგეთ, ბატონო პრემიერო — პატრიარქის პოზიცია ხან გაღელვებთ, ხან — საერთოდ არ გაინტერესებთ?!



1.კლდიანმცენარე. „...ლორები“
2.ნახ. კუნძულიევროპაში
3.ძალიან ძველი ხელნაწერი
4. ...მარაბდელი
5. მსახიობი ...რაიანი
6. სწრაფი კვების ობიექტი
7. მუსიკალური გასწორთობი
8.ისტორიიდან: ...ჟორდანია
9. ქალაქი აშშ-ში
10. ბრეხტი. „...ცარცის წრე“
11. ტროპიკული ნაყოფი
12.ცხენებშეჭმული ტრანსპორტი
13.მისი დედაქალაქია ბუენოს-აირესი
14. პირის ნაცვალსახელი
15.სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
16. ჩანთოსანი დათვი
17. მარცვლოვანი მცენარე
18. სასუნთქი თამბაქო
19.ნაღვინევი ადამიანი, ანუ ...
20. „ჟან მარე ფილმში
21. ავსტრიის დედაქალაქი
22.პოლონეთის დედაქალაქი
23. ნილოსის დუმფარა
24. მდინარე ინდოეთში
25. პატარა ტანის ძაღლი
26.კომპოზიტორი გოგი ...
27. ისტერიული შიში
28. მსახიობი ნანა ...
29. დახურული ეტლი
30. თავის ტკივილი
31. მომავლის რწმენა
32. აქლემის ნაშიერი
33.ქალაქი იტალიაში, სადაც სიმღერების ფესტივალი იმართება
34. ...სუნიშვილი
35. დუმფარა ვიქტორია-...
36. ყველაზე ღრმა ტბა
37. კუნძული. ცნობილია ვარანით
38.რეჟისორი მარტინ ...
39.რაიმე ნაწარმოების შეფასება
40. ...ქუსს, ისე არ წვიმს
41.შექსპირი. „...ვაჭარი“
42. „შენ ...ვენახი“
43. მეტყველების ექიმი
44.ვენესუელის დედაქალაქი
45. მსახიობი კევინ ...
46. შტატი აშშ-ში
47. ერთიანი ხარდში
48. შტატი აშშ-ში
49.მისი დედაქალაქია ოსლო
50.მომღერალი სელინ ...
51.დიზაინერი ...არმანი
52. ცხენების სადგომი
53.ისლანდიის დედაქალაქი
54.მოცეკვავე ...ფოჩიანი
55.მწვრთნელი ...კაჩალინი
56.ქართ. ანბანის ბოლო ასო
57. ძალა, ღონე
58. ...არიან მორწმუნენი
59. წარწერა საფლავის ქვაზე
60. ციტრუსის კანი
61. ზადი, ნაკლი
62.ძვ. აღთქმის წიგნი: დავითნი
63.მეფის სასახლე საფრანგეთში
64. ნადირობა აფრიკაში
65.მოწითალო ფერის ლითონი
66.საიუველირო ყვითელი ქვა
67. ინდოეთის დედაქალაქი
68. უეცარი შიში
69.ერთკუზიანი აქლემი
70. რადიოლოკატორი
71.მწვერვალი კავკასიონზე
72. სუნამოს ჭურჭელი
73.ფაიფურის თეთრი თიხა
74. არენდა
75. საავადმყოფოს ოთახი
76. ფრედი მერკურის ახსაბძლი
77. ბია
78. კუნძული ოხოტის ზღვაში
79.„მეფე ერეკლე და ...ქალი“
80. ინდიელის ცოლი
81. მსახიობი ანჯელინა ...
82. სვეტი
83.სარეველას კაუჭებიანი ნაყოფი
84. შანსონიე ...მონტანი
85. მსახიობი ჰოლი ...
86. ბებერი მუხა
87.ფედერიკო ფელინის ფილმი
88. „ბითლზი“ ...სტარი
89. კუნძული ატლანტის ოკეანეში
90.ნანული სარაჯიშვილი ფილმში
91. ტელეკომკი
92. ისტორიის მუზა
93. მოდელი კემპბელი
94. საერთო ევროპული ვალუტა
95.რეჟისორი ...პოლანსკი
96.„გრაფი მონტე-კრისტო“ აბატი ...
97.„ხევის ბერი გოჩა“ აბამიძე
98.ქალაქი იტალიაში
99.ქალაქი რაჭაში
100. მწვრალი მალვა ...
101. ყაიმი
102. მკერდის კორექციის მასალა
103.კალოზე ხორბლის სალენი ფიცარი
104. იაპონური ხალათი
105. მხატვარი კლოდ ...
106. ვრცელი ველები აფრიკაში
107.კომპოზიტორი ...კალმანი
108. ძაღლის ჯიში
109.მონოჰილიის ერთ-ერთი სანე
110. პირბადე
111. მარილიანი სითხე კანზე
112.მღრღნელი
113.... შერმადინი
114.რუს მეფეთა დინასტია
115. მსახიობი დემი ...
116. ხორთუმიანი ცხოველი
117.„...-დანდალი, ჩემი ოქროს შანდალი“
118. ოტელოს ეროვნება
119. ყავისფერი პიგმენტი
120.მსახ. რობერტ ...უმცროსი
121. ცხენირემი
122. „...ფრანგის დღიური“
123.ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
124. მსახიობი ...დევისი
125. ფირმა „...-პარი“
126. საყანედ გაჩეხილი ტყე
127. მლაშე სანელებელი
128. მხატვარი სალვადორ ...
129.იანის საპირისპ. 130.იოკო ...
131. რეზინეს ყელიანი ფეხსაცმელი
132.გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
133. უსუფთაობა
134. ანსამბლი „სტატუს ...
135. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
136.ვივიენ ... 137.სოფ. რაჭაში
138. მწვრალი არტურ კონნორ ...
139. რაგბკაპური ფილმში
140.მომღერალი ...მინოუგი

ანიგრამები: 1. ბაკურიანი; 2. სეფერიანი; 3. ბინერეკრიზმი; 4. ანიმეხ; 5. ბეგ; 6. „ბაკლიოლიანი“; 7. ათოიუნ; 8. ფიტბოლიანი; 9. ნოე; 10. ბეთოვენი; 11. ანგანენი; 12. ქნილი; 13. ანგანენი; 14. ბეგ; 15. ალოლალი; 16. ალალი; 17. ბოლგო; 18. ბოლოდეთი; 19. ნიბერეზეთი; 20. „ფიფიბანიანი“; 21. ვეფხ; 22. ლოლბანი; 23. ბალეი; 24. ბალეი; 25. ფიფხი; 26. ცაბიდე; 27. ბანეაკ; 28. ალლაზეზეფილი; 29. კარეშმ; 30. ბეკეაი; 31. ინეეფი; 32. ბიბეკი; 33. ხიი-ბეგი; 34. ალიაკ; 35. ბეკეაი; 36. ბეიეალი; 37. ბოლბეკეაბ; 38. ალალეალი; 39. ანოლბეკ; 40. ბოგბეკ; 41. ვეეენეკეალი; 42. ხალ; 43. ალალეალი; 44. კალბაკეალი; 45. ბეკეაბი; 46. ალალეალი; 47. ალეკ; 48. ლალეთალი; 49. ნოლბეკეალ; 50. ალალეალ; 51. ჯალეალ; 52. ბალეალ; 53. ბეკეაკეალ; 54. ბალეალ; 55. ბეკეაბ; 56. ბალ; 57. ბეგეალ; 58. ნეკეალ; 59. ბალეალ; 60. ბალეალ; 61. ალალ; 62. ალალ; 63. ბალ; 64. ალალ; 65. ბალ; 66. ბალ; 67. ალალ; 68. ალალ; 69. ალალ; 70. ალალ; 71. ბალ; 72. ალალ; 73. ალალ; 74. ალალ; 75. ბალ; 76. ალალ; 77. ალ; 78. ბალ; 79. ალალ; 80. ალ; 81. ალალ; 82. ბალ; 83. ბალ; 84. ალ; 85. ბალ; 86. ბალ; 87. „ბალ; 88. ბალ; 89. ბალ; 90. „ბ; 91. ბალ; 92. ალ; 93. ბალ; 94. ალ; 95. ბალ; 96. ბალ; 97. ბალ; 98. ბალ; 99. ბალ; 100. ბალ; 101. ბალ; 102. ბალ; 103. ბალ; 104. ბალ; 105. ბალ; 106. ბალ; 107. ბალ; 108. ბალ; 109. ბალ; 110. ბალ; 111. ბალ; 112. ბალ; 113. ბალ; 114. ბალ; 115. ბალ; 116. ბალ; 117. ბალ; 118. ბალ; 119. ბალ; 120. ბალ; 121. ბალ; 122. ბალ; 123. „ბალ; 124. ბალ; 125. ბალ; 126. ბალ; 127. ბალ; 128. ბალ; 129. ბალ; 130. ბალ; 131. ბალ; 132. ბალ; 133. ბალ; 134. ბალ; 135. ბალ; 136. ბალ; 137. ბალ; 138. ბალ; 139. „ბალ; 140. ბალ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

ყველაზე ძვირად ღირებული ოპერაციები საქართველოში — როგორია სახელმწიფო თანადაფინანსების წილი

როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა ქირურგიული ჩარევა სიცოცხლის ერთადერთი ხსნაა, რა თანხებთან გვაქვს საქმე და რომელი ოპერაციებია საქართველოში ყველაზე ძვირად ღირებული?

ღვიძლის ტრანსპლანტაცია ძვირად ღირებულ და რთულად შესასრულებელ ოპერაციათა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა. დღეს საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას ორ კლინიკაში აკეთებენ. „ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალსა“ და „ავერსში“. ამ უკანასკნელში აღნიშნული ოპერაციის ფასი დაახლოებით 111 800 ლარს შეადგენს, „ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში“ კი ღირებულება 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტია ლარში.

კარდიოქირურგიული ოპერაციები ერთ-ერთია იმ ძვირად ღირებულ ოპერაციათა ჩამონათვალში, რომელიც საქართველოში ხშირად ტარდება. მისი ფასები სირთულის მიხედვით სხვადასხვანაირია და 12 000-დან 18 000 ლარამდე მერყეობს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემებით, გულის ერთი სარქველის პროთეზირება 12 000-დან 15 000 ლარამდე მერყეობს, აორტოკორონარული შუნტირება 10 000-დან 12 500 ლარამდე ჯდება, პანკრეასისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ამოკვეთა კი 7 000-დან 12 000 ლარამდე მერყეობს.

საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის, მაია ხომერიკის თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული არ არის ორგანოების ტრანსპლანტაციის (მათ შორის ღვიძლის გადანერგვის) დაფინანსება, თუმცა ფინანსური მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შესაძლოა განხორციელდეს. დანარჩენ შემთხვევებში პროგრამით ოპერაციის თანადაფინანსება განსხვავებულია და მომსახურების მიხედვითა და პაციენტის სტატუსით განისაზღვრება. პენსიონერის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევისთვის საჭირო თანხის 90% ანაზღაურდება. 100%-იანია თანადაფინანსება ლაურეატებისა და ომის ვეტერანთათვის. უნარშეზღუდულ ადამიანთა ოპერაციები კი სახელმწიფოს მხრიდან 80%-ით ფინანსდება. (ambebi.ge)

ვერეს ხეობაში მძიმე კონსტრუქციის ნაგებობები არ უნდა აშენდეს

მდინარე ვერეს ხეობაში რეკრეაციული ზონის გაშენებას გარემოს დამცველები დადებითად აფასებენ, თუმცა ცალკეული კითხვები მაინც უჩნდებათ ყველა იმ ობიექტთან დაკავშირებით, რომლებიც ვერეს ხეობაში მძიმე კონსტრუქციით იქნება აგებული.

ვერეს ხეობის ტერიტორიული განვითარების კონცეფციას გამარჯვებული კომპანია, შპს „არქიტექტურული ბიურო“ განახორციელებს. ამ კონცეფციის ჩარჩო-გეგმის თანახმად, ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრი, სპორტული კომპლექსი და ტყე-პარკი მოეწყობა. უფრო კონკრეტულად, საგანმანათლებლო ცენტრი 20 000 მ/კვ ტერიტორიას დაიკავებს, რომელშიც საკონფერენციო-სასემინარო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სასადილო განთავსდება.

გარდა ამისა, კონცეფციის მიხედვით, გმირთა მოედნიდან უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსამდე დაგეგმილია ველოსიპედების ტრასების მოწყობა. წარმოდგენილი კონცეფციით, ტყე-პარკი 300 000 კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე გაშენდება. ზოოპარკისა და „მზიურის“ ტერიტორიები კი ერთმანეთს ორი „მწვანე ხიდის“ საშუალებით დაუკავშირდება. ამასთანავე, ზოოპარკის ტერიტორიაზე გაჩნდება მდინარე ვერეს მცირე განშტოება და პატარა ზომის ტბები, რომლებიც, ერთი მხრივ, შექმნის შესაბამის გარემოს პარკისთვის, მეორე მხრივ კი, ერთგვარი რეზერვუარის ფუნქციას შეასრულებს. აღნიშნული კონცეფცია საავტომობილო მაგისტრალის გაყოლებაზე დამცავი ზოლის მოწყობასაც ითვალისწინებს. ამ ტერიტორიაზე განთავსდება 13 ივნისის სტიქიის დროს დაღუპულ ადამიანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალიც. ჩარჩო-გეგმის შესყიდვის ღირებულება 69 618, 82 ლარს შეადგენს.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ ვერეს ხეობის ტერიტორიული განვითარების კონცეფციას დაწვრილებით არ იცნობს და მის შესახებ იმდენივე იცის, რამდენიც ჩვენმა საზოგადოებამ. თუმცა მიიჩნევს, რომ ამ ტერიტორიაზე რისკის შეფასება აუცილებელია.

„მობილიზაცია, რისკების შეფასება იმისთვის კეთდება, რომ, საბოლოო ჯამში, იმ ადგილებიდან ხალხის გამოყვანის სწრაფი გეგმა არსებობდეს. ზოგადად, ნაპირებზე რეკრეაციული ზონის გაშენება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან სხვანაირად, ეს სერიოზულ პრობლემას შექმნიდა. ვერეს ხეობაში სპორტული მოედნების გაკეთება არ არის პრობლემა, უბრალოდ, უნდა იყოს მობილიზაციის გეგმა. ნებისმიერ შენობას უნდა ჰქონდეს ევაკუაციის გეგმა. სამწუხაროდ, 13 ივნისის ტრაგედიის მიზეზი ისიც იყო, რომ ასეთ რთულ ხეობაში ევაკუაციის გეგმა არ არსებობდა და ახლომდებარე სახლებიდან ხალხი სტიქიურად გაიხიზნა. ამიტომ საჭიროა ჯერ რისკების შეფასების ანგარიში გაკეთდეს და შემდეგ ევაკუაციის გეგმა დაიდოს. რაც შეეხება ვერეს ხეობაში საგანმანათლებლო ცენტრების აშენებას, ამასთან დაკავშირებით თავს ვიკავებ, რადგან ამ ხეობაში არ შეიძლება კაპიტალური შენობების აგება, ეს პრობლემას შექმნის. მსუბუქი კონსტრუქციები, მსუბუქი დასვენების კერები კი შეიძლება გაკეთდეს“, – აცხადებს ჩხობაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ალავერდაშვილი აცხადებს, რომ 13 ივნისის სტიქიის განმეორების ალბათობა ნაკლებად სავარაუდოა, თუკი განხორციელდება მათ მიერ დასახული პრევენციული ღონისძიებები. ლაპარაკია დამბებზე, ცხაურის ტიპის რკინა-ბეტონის კონსტრუქციებზე, რომელიც დაიჭერს დიდ მასალას, მეწყრის დროს დაბლა წამოსულ ხე-ტყეს და აღარ გამოიწვევს ჩახერგვებს.

„ვერეს ხეობასთან დაკავშირებით კითხვები შეიძლება ისევ გაჩნდეს, მაგრამ ვფიქრობ, აღარ განმეორდება ტრაგედია, რადგან კალაპოტი გასუფთავდა, მდინარის წყალგამტარუნარიანობა კალაპოტში გაორმაგდა და გასამმაგდა. ის წინააღმდეგობები, რომელიც მას ჰქონდა და, რამაც ჩახერგვა გამოიწვია, აღარ იქნება. მთავრობას აქვს ამ ხეობის უსაფრთხოების პროექტი და ეს უნდა გაკეთდეს, რათა ტრაგედია აღარ მოხდეს. 13 ივნისს კი ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა – მეწყერი ცალკე წამოვიდა, ამას დაემატა დიდი რაოდენობის ნალექი. ამ ყველაფერს ვაკე-საბურთალოს გვირაბის ჩახერგვა მოჰყვა. ეს იშვიათი მოვლენაა და, თუკი ერთობლივად განმეორდება მეტეოროლოგიური და მეწყრული მოვლენები, ამას შესაბამისი კონსტრუქციებით მომზადებულები უნდა დავხვდეთ. ამას დაემატება წყალგამტარი ესტაკადის მშენებლობაც. გარდა ამისა, პრევენციულ ღონისძიებას უნდა ახლდეს საპრევენციო სიგნალი. ეს სიგნალი 13 ივნისის ღამესაც იყო მიღებული, 11-ის 20 წუთზე იყო შეტყობინება, რომ სტიქია დაატყდა ახალდაბას, 12-ის ნახევარზე დარეკა ჩემი ლაბორატორიის დაცვამაც, რომ წყალი შეგუბდა და ამ წყლის გარღვევის შემდეგ მოხდებოდა უბედურება ქვევით, მაგრამ გადამწყვეტი ზომები ვერ მიიღეს. ალბათ, აღარ გამოიჩენენ უყურადღებობას, თორემ იგივე განმეორდება. აქ მთავარია, როგორ იმუშავებს 112, როგორ იმუშავებს მთავრობა და შეტყობინების სისტემა“, – აცხადებს ალავერდაშვილი. (for.ge)

ჯინ დარჩა ცენტრალური საახალწლო შოუს მიღმა — მორიგი შოუბიზნესური სკანდალი

საახალწლო კონცერტის გარშემო კვლავ ვნებათაღელვაა. თუ შარშანდელ საახალწლო კონცერტზე მომღერლები იმის მიხედვით შეარჩიეს, ვის შეეძლო ცოცხლად სიმღერა და ვის – არა, წლევანდელი კონცერტის კონცეფცია ასეთია – სცენა ახალგაზრდა შემსრულებლებს ეთმობა. მერიაში პროექტი მიშა მდინარაძემ შეიტანა. უცნაურია, მაგრამ ახალგაზრდა მომღერლებში ვერ მოხვდა ნინი ბადურაშვილი, რატი დურგლიშვილი და სხვები.

რატომ ვერ მოხვდა საახალწლო კონცერტზე, **ნინი ბადურაშვილს** ინფორმაცია არ აქვს:

– ვერ გეტყვით, 25-ში მერიის დაკვეთით დათო ევგენიძე აკეთებს საინტერესო კონცერტს, სადაც მე და ანრი ჯოხაძე ვიმღერებთ დუეტს. მე როგორც შევიტყვე, მიშა მდინარაძე საინტერესო კონცეფციას შემოგვთავაზებს, შეიძლება არ ჩავჯექი მის კონცეფციაში, ნაწყენი არ ვარ, მას წლებია ვიცნობ. სიამოვნებით ვუყურებ მის გაკეთებულ ღონისძიებას, ვნახოთ რა იქნება. არ მახსენდება ახალი წელი, როცა არ ვიმღერე, მე საკმაოდ ბევრი კონცერტი მაქვს და არ ვფიქრობ, რადგან საახალწლო კონცერტზე არ ვმღერი, რა მეშველება-თქო. არანაირი პრობლემა არ მაქვს, ყველა მომღერალს წარმატებებს ვუსურვებ.

კონცერტს მიღმა დარჩა მომღერალი **ნინა წარიალაშვილი**. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნინა არც ერთ სამთავრობო კონცერტზე არ გამოსულა, თუმცა ამის გამო განაწყენებული არ არის:

– არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ვხვდები, რომ თემატური კონცერტია. ის უფრო უზნეობაა, ყველა რომ შეყარონ კონცერტზე. ტრაგედიას ვერ ვხედავ. მგონია, რომ კულტურის სამინისტრო რეგიონებში გააკეთებს კონცერტებს და იქაც თუ ვერ მოვხვდი, ე.ი რაღაც პრობლემაა. გულით გამიხარდება, მთავარი კონცერტი კარგი თუ გამოვა. გამიხარდება ისეთი ახალი თაობა წამოვიდეს, რომლითაც ვიამაყებთ. ახალგაზრდების არის ეს ქვეყანა. ბებერი საერთოდ არ ვარ. სხვანაირად არის შერჩეული მომღერლები. რაც ხელისუფლება შეიცვალა, სამთავრობო კონცერტებში არ ვყოფილვარ, ეს ცოტა მაფიქრებს რაღაცებზე, მაგრამ იმედი მაქვს, უბრალოდ დამთხვევაა.

ყველაზე დამაფიქრებელი იყო, გორის დღესასწაულიდან რომ ამომიღეს. სიმართლე გითხრა, გამიხარდა. ორი კაპიკი იყო ჰონორარი, თავიდან შემომთავაზეს მონაწილეობა, შემდეგ კი უარი მითხრა ორგანიზატორმა და ძალიან გამიხარდა. ჩავთვალოთ, ესეც დამთხვევა იყო. მე ხომ ბოლმა არ ვარ? ძალით თუ არ მსვამენ, აი, დარდი. მეტი დარდი არ მქონდეს ცხოვრებაში. იმდენი საქმე მაქვს, როდის რა გავაკეთო არ ვიცი. ერთხელ მაინც შევხვდები სახლში ახალ წელს, თბილად ვიქნები ნაძვის ხესთან. რასაც ვიღებდი ჰონორარის სახით საახალწლო კონცერტებზე, ორჯერ მეტს ფილტვების ანთების წამლებში ვხარჯავდი. ბევრი კორპორატიული შემოთავაზება მაქვს, წავალ და ფულს გავაკეთებ.

მომღერალი **აჩიკო მეფარიძე** საახალწლო კონცერტზე მიიწვიეს, მაგრამ მონაწილეობაზე უარი საკუთარი გეგმების გამო განაცხადა:

– მე 31 დეკემბერს ნიუ-იორკში მაქვს კონცერტი. სამი თვის წინ მიმიწვიეს. როცა დამირეკეს, თავიდანვე ამ მიზეზით ვთქვი უარი. თბილისში უნდა მემღერა თუ რეგიონებში, არ ვიცი, მაგრამ რადგან ნიუ-იორკში ვარ მიწვეული, დეტალებით აღარ დავინტერესდი.

საახალწლო კონცერტის კონცეფციას უფროსი თაობის შეურაცხყოფად მიიჩნევს მომღერალი **რატი დურგლიშვილი**:

– ჯერჯერობით არ დავბერებულვარ, მაგრამ არავის დაურეკავს საახალწლო კონცერტზე. ყველას პატივს ვცემ, მე თუ სიაში არ მოვხვდი, არ ნიშნავს, რომ მისაღები არ ვარ. შეიძლება მიშასთვის არ ვარ მისაღები, მაგრამ სხვისთვის ვარ. გული მწყდება, ეს ძალიან ცუდია. მათი კეთილი სურვილია, ვის დაუძახებენ კონცერტზე. მგონია, ახალგაზრდებზე გათვლით შეურაცხყოფას აყენებენ იმ ადამიანებს, ვისაც ეპოქა აქვს შექმნილი და ცხოვრება აქვს ჩადებული შემოქმედებაში. ჩვენ ხელით სატარებელი ვარსკვლავები გვყავს. უბედურებაა, რომ ჩვენს საკუთარს არ ვცემთ პასუხს. ხელოვანი ადამიანები არ უნდა ჭამდნენ ერთმანეთს. მესმის, ყველას ვერ ჩასვამ კონცერტზე, მაგრამ დიდი შეურაცხყოფაა მხოლოდ ახალგაზრდებმა იმღერონ. მე პოლიტიკაში არ ვერევი და არ ვფიქრობ, რომ დაბლოკილი ვარ. ვინმეს თუ ჰგონია პოლიტიზირებული ვარ, მისი პრობლემაა.

კონცერტის ორგანიზატორ **მიშა მდინარაძეს** საახალწლო კონცერტზე საუბარი აღარ სურს და ამბობს, რომ მომავალში სამთავრობო

– რატი დურგლიშვილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ახალგაზრდებზე გათვლა, უფროსი თაობის მუსიკოსების შეურაცხყოფაა, თავად როგორ ფიქრობთ?

– ეს რატი დურგლიშვილის აზრია, ახლა ახალგაზრდებს უფრო მეტად სჭირდებათ სცენა, რომელიც არც დიდებს აკლიათ და არც პატარებს. ჩატარდეს ჯერ ეს კონცერტი, იმედი მაქვს, კარგი გამოვა. რადგან ავიღე პასუხისმგებლობა ამ წელს, უნდა ჩავამთავრო. მომავალში აღარ მივიღებ ასეთ პროექტში მონაწილეობას, იმიტომ რომ ამ ხალხისთვის სხვა რაღაცები არის მნიშვნელოვანი. მუსიკაზე, ხარისხზე, ენერგიაზე არავინ ლაპარაკობს. მინდა ხალხმა ისიამოვნოს და ეს არ იყოს ის რუტინა, რაც აქამდე იყო. აღარ მინდა ამ ყველაფრის არც მოსმენა და არც ვინმესთან კონფლიქტი.

– ნინი ბადურაშვილი და რატი დურგლიშვილიც ახალგაზრდა მომღერლები არიან, თუ წლევანდელი კონცერტის კონცეფცია ახალგაზრდა მომღერლებზეა გათვლილი, ისინი რატომ ვერ მოხვდნენ?

– ძალიან მარტივია, რამდენი მომღერალიც იყო საჭირო, იმდენი შეირჩა. ვინც მოხვდა სიაში, ისინი ღირსები არიან. ეს ნორმალური, კონკურენტუნარიანი გარემოა, მომავალ წელს სხვები მოხვდებიან კონცერტში. (ambebi.ge)

პედაგოგების დასამორჩილებლად „განათლების კანონში“ ცვლილება შედის

მარიამ რამინაშვილი: „მათი მთავარი სადარდებელი არის 2016 წლის არჩევნებამდე მისვლა, დანარჩენზე კი ამ ეტაპზე არ ღელავენ“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები იზრდება. პარლამენტში შეტანილი ინიციატივით, საბჭოს ფუნქციებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის არჩევის უფლებამოსილება ემატება.

განათლების სისტემაში დანერგილი ტერმინი – „ფასილიტატორი“ სპეციალური მომზადებისა და ცოდნის მქონე ადამიანს ნიშნავს, რომელიც სხვა მასწავლებელს ეხმარება და ცდილობს, მათ თავისი გამოცდილება გადასცეს. ფასილიტატორს აირჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით.

რაში დასჭირდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ფასილიტატორის“ შემოღება? რა პრობლემების წინაშე დადგებიან პედაგოგები სქემის სრულად ამუშავების შემთხვევაში?

„ალიას“ „საგანმანათლებლო ალიანსის“ თავმჯდომარე, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:

– ეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაა, რომელიც სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება. შემოტანილია მასწავლებელთა სერტიფიცირების ალტერნატივად. ამ სქემამ უნდა დაადგინოს მასწავლებელთა კატეგორია კრედიტქულების დაგროვების საფუძველზე. საკითხის შემოტანას შარშან ძალიან დიდი დებატები და განხილვები მოჰყვა. თავად პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კიღურაძე ეწინააღმდეგებოდა ამ სქემის შემოღებას. შესაბამისად, პირველივე ვერსიაში სამინისტროს ძალიან ბევრი შეცდომის შეტანა მოუნია. საბოლოო ჯამში, მაინც ვერ შეთანხმდნენ და საპარლამენტო კომიტეტისთვის ბოლომდე მიუღებელი დარჩა ის ინიციატივა, რომელსაც განათლების სამინისტრო სთავაზობდა. ვანო კიღურაძე აცხადებდა, რომ ეს სქემა ვერ მოვიდა სამინისტროსთან შესაბამისობაში, მაგრამ ამის მიუხედავად, რადგანაც სამინისტრომ მიიჩნია, რომ სქემა განხორციელებადი იყო, მთავრობამ ეს მიიღო თავისი დოკუმენტებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ სქემის განხორციელებაზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებლობას მთავრობა იღებდა.

ამ სქემაში საინტერესო არის ის, რომ საკითხის განხორციელება ითხოვს მასწავლებელთა მიერ თვითშეფასების დოკუმენტების შევსებას, რის შემდეგაც ამ დოკუმენტების თანახმად, პედაგოგების ენიჭებათ კრებითი ქულები, რის შემდეგაც მასწავლებელი ან ინარჩუნებს თავის საფეხურს, ან გადადის სხვა საფეხურზე. თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი სამი წლის განმავლობაში ვერ გახდება უფროსი მასწავლებელი, ეს ნიშნავს იმას, რომ მას სამსახურიდან გაათავისუფლებენ. უფროსი მასწავლებელი გულისხმობს უკვე სერტიფიცირებულ პედაგოგს ძველი წესით. თუ ეს უფროსი მასწავლებელიც ვერ შეინარჩუნებს ამ უფროსი მასწავლებლის კატეგორიას, სამი წლის შემდეგ ისიც კარგავს მასწავლებლის სტატუსს. რაც შეეხება ინიციატივას, საკითხი სწორედაც რომ თვითშეფასებას ეხება. საუბარია ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მასწავლებელზე, ჯგუფის ხელმძღვანელზე, რომელსაც ეწოდება ფასილიტატორი. ტერმინი – „ფასილიტატორი“ სქემამდე არ არსებობდა და ის სწორედ სქემის ამოქმედების დროს გახდა აუცილებელი. ეს არის პიროვნება, რომელიც მუშაობს კონკრეტულ სკოლაში, რომელსაც პედაგოგიური საბჭო მიანიჭებს იმის უფლებას, რომ მან განახორციელოს მისივე კოლექტივის წევრთა შეფასება კონკრეტული კრედიტქულების საფუძველზე. ანუ ეს ფასილიტატორი ანიჭებს პედაგოგებს იმ ქულებს, რაც მათ სჭირდებათ კონკრეტული საფეხურების მისაღწევად.

როგორც კი ეს სქემა ამუშავდება, ეს გამოიწვევს მასწავლებლების პროტესტს, რადგან წარმოუდგენელია ამ პროექტის სწორად განხორციელება, მას აუცილებლად ექნება სუბიექტური დატვირთვა, და მას შემდეგ, რაც ეს დაკანონდება, პედაგოგებს გასაპროტესტებელიც კი აღარაფერი დარჩებათ, რადგან ფასილიტატორი უკვე კანონით იქნება არჩეული. მას მერე, რაც მასწავლებლები გააცნობიერებენ ამ სქემის ხარვეზებს და არსს, მათ პროტესტს უკვე აზრი არ ექნება. მაშინ მიხვდებიან, რომ მათივე დანაშაული არის ის, რომ ის კონკრეტული მასწავლებელი აირჩიეს თავის დროზე.

წარმოიდგინეთ, როგორი რაღაცაა, – მე, პედაგოგი, უნდა შემაფასოს ჩემმავე კოლეგამ, რომელსაც აუცილებლად ექნება სუბიექტური ხასიათი. შემდეგ უკვე დაიწყება პრეტენზიების გამოთქმა, რატომ აფასებენ მათ მათზე ბევრი არაფრით ზედა საფეხურზე მდგომი ადამიანები. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ჩამოყალიბდება მანკიერ სქემად, რომელიც ხშირ შემთხვევაში იქნება კორუფციის ბუდე, მისი განხორციელების ბოლო ეტაპებზე განსაკუთრებით. შესაბამისად, ეს სქემა ამუშავდება, ეს გამოიწვევს მასწავლებლების პროტესტს, რადგან წარმოუდგენელია ამ პროექტის სწორად განხორციელება, მას აუცილებლად ექნება სუბიექტური ხასიათი. შემდეგ უკვე დაიწყება პრეტენზიების გამოთქმა, რატომ აფასებენ მათ მათზე ბევრი არაფრით ზედა საფეხურზე მდგომი ადამიანები. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ჩამოყალიბდება მანკიერ სქემად, რომელიც ხშირ შემთხვევაში იქნება კორუფციის ბუდე, მისი განხორციელების ბოლო ეტაპებზე განსაკუთრებით. შესაბამისად, დღემდეა დაჭერილი თადარიგი, შემდგომში რომ არ გააპროტესტონ ეს სქემა პედაგოგებმა, ამას კანონით აფორმებენ წინასწარვე, სანამ აზრზე მოვლენ პედაგოგები. საბოლოო ჯამში, ეს თემა გახდება პედაგოგებისთვის ნებისმიერი სახის პროტესტის შეჩერების ეფექტური საშუალება იმიტომ, რომ ამით ადვილი სამართავები გახდებიან პედაგოგები.

— თვითშეფასება იმისთვის ხომ არ კეთდება, რომ არასასურველი პედაგოგი ამ შედეგების შემდეგ დაისაჯოს?

– ახლა ნახეთ, რა ხდება... თვითშეფასება არის პირველი დოკუმენტი, რომელსაც თავად აკეთებს მასწავლებელი და იქ მოყვანილი მონაცემების გამო არავინ არ ისჯება. ეს კეთდება თავისთვის, რომლის შემდეგაც ის სამოქმედო გეგმას აყალიბებს. შემდეგ კი, როდესაც შეფასების ნაწილზე გადავლენ, ანუ ის აქტივობები, რომელსაც თავად პედაგოგები მიაწვდიან, კონკრეტულად ამ ფასილიტატორებისგან შემდგარ ჯგუფს, უკვე დგება მისთვის კრედიტის მინიჭების ან არმინიჭების ეტაპი. შედეგი იქნება შემდგარი შიდა და გარე შეფასებისგან, ეს შიდა შეფასება უბრალოდ შიდა ფასილიტატორის შედეგად იქნება, ხოლო გარე შეფასებას ეროვნული ცენტრი განახორციელებს. აქ პრობლემა შიდა შეფასებაშია, იმიტომ, რომ ამას უბრალოდ ფასილიტატორი შეამოწმებს.

— საბოლოო ჯამში, რაში სჭირდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეს ყველაფერი?

– განათლების სამინისტროს ეს თემა პირველ რიგში დასჭირდა იმისთვის, რომ პედაგოგებს 2016 წლამდე ხმა არ ამოეღოთ ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ როგორც კი ამაზე ხმას ამოიღებს მასწავლებელი, მაშინვე ამ სქემას მიაჩეჩებენ ხელში და ეტყვიან – თუ შენ შეძლებ, შეიცვალო კატეგორია, რაც მიბმულია ხელფასის მატებასთან, შენ გაგეზრდება ხელფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზიას ვერ გამოთქვამ. საბოლოო ჯამში, ეს სქემა არის მასწავლებელთა გასაჩუმებელი ბერკეტი, ანუ მათი მთავარი სადარდებელი არის 2016 წლის არჩევნებამდე მისვლა, დანარჩენზე კი ამ ეტაპზე არ ღელავენ და ვინ იცის, წინ კიდევ რა არის.

ამ ეტაპზე უბრალოდ პროცესი შეაჩერეს, მასწავლებელთა პროტესტი ხელფასების მატებაზე ჩახშულია და ის 50 ლარი ისეა მომატებული, რომ მასწავლებლები მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული და საჩუქრად უთვლიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პროცესი ძალიან გაუმჭვირვალე ხდება და ესენი ცდილობენ, რომ ზოგადი განათლების კანონში ეს ტერმინი შეიტანონ და დააკანონონ. ისე ვინ აირჩევდა მათთვის სასურველ ადამიანს, ამიტომაც პედაგოგიურ საბჭოში ჩასვამენ. თანაც, ამას ისე აკეთებენ, რომ ისევ პედაგოგებს აარჩევინებენ და შემდეგ იყვირონ პედაგოგებმა რამდენიც უნდათ. როგორც ზემოთ გითხარით, შედეგი არ შეიცვლება და უკანვე მიუბრუნებენ, – თუ ასარჩევი არ იყო, რატომ აირჩიეთო?!.

ამ ფასილიტატორებს კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იმ დროს უტარებდა გადამზადებას, როდესაც კანონი ტერმინით არ იყო განსაზღვრული. ამის გათვალისწინებით გაუგებარია, თუ კანონით არ არსებობდა ეს ტერმინი, რის თანახმად არჩევდნენ და ამზადებდნენ ამ ადამიანებს. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეს სქემა არის ქაოსური.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

ტარაკანა „მილკო ფუდის“ მაწონში — რას აცხადებენ კომპანიაში

რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „მილკო ფუდის“ მაწონში ტარაკანა აღმოჩნდა. ფაქტის ამსახველი ფოტომასალა ერთ-ერთმა მომხმარებელმა „ფეისბუკის“ გვერდზე განათავსა.

როგორც მან აღნიშნა, „მილკოს“ მიერ წარმოებული მაწონი რამდენიმე დღის წინ ნუცუბიძის პლატოზე, სუპერმარკეტ „ზღაპარში“ შეიძინა, გახსნისას კი პროდუქტში ტარაკანა იპოვა. მომხმარებელი ამბობს, რომ მაწონი მარკეტისთვის არ დაუბრუნებია, რადგან პროდუქტი ქარხნულად იყო შეფუთული. მან კომპანია „მილკო ფუდს“ ფაქტის შესახებ მაშინვე აცნობა, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

„კვირა“ დაინტერესდა, როგორ აღმოჩნდა რძის პროდუქტში მაწონი და რამდენად არის დაცული სანიტარიული ნორმები „მილკო ფუდში“. კომპანიის ხარისხის მართვის მენეჯერი თამაზ მახარაშვილი კომპანიაში სანიტარიული ნორმების დარღვევას გამორიცხავს. მისი განცხადებით, „მილკოსთვის“ პოლიეთილენის ქილებით კომპანია „თეგე“ ამარაგებს და დიდი ალბათობით, ქილაში მწერი იქამდე იყო, სანამ მაწონი ჩამოისხმებოდა. ამის მიუხედავად, მახარაშვილი აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა კომპანია „მილკო ფუდსაც“ ეკისრება.

„ჩვენთან სანიტარიული ნორმები უმაღლეს დონეზეა დაცული. გამორიცხულია, პროდუქტში მოხვედრილიყო ამხელა ზომის ტარაკანა, რადგან სანამ მაწონი ქილებში მოთავსდება, უამრავ შემოწმებას გადის. ფილტრაცია უმაღლეს დონეზე ხდება. დიდი ალბათობით, ტარაკანა ქილებში იყო, რომელიც დაფასოებულია და აქამდე არ მოწმდებოდა. ვფიქრობთ, რომ კომპანიასთან თანამშრომლობაზე ამ და სხვა დარღვევების გამო, უარი ვთქვათ. თუმცა პასუხისმგებლობას ჩვენს თავზეც ვიღებთ, რადგან ჩვენც უნდა შეგვემოწმებინა“, – განაცხადა მახარაშვილმა. (kvira.ge)

დონალდ ტრამპი ინტერნეტის გათიშვის ინიციატიით ბილ გეითსს მიმართავს

აშშ-ს პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატი დონალდ ტრამპი კიდევ ერთ სკანდალში ეხვევა. აშშ-ში მუსლიმანების შესვლის აკრძალვის ინიციატივის შემდეგ, მას ინტერნეტის გათიშვაც მოუნდა. მისი თქმით, ამისთვის ის ბილ გეითსაც შეხვდება.

„ბევრ ხალხს ვკარგავთ ინტერნეტის გამო. ჩვენ უნდა შევხვდეთ ბილ გეითსს და ბევრ სხვას, ვისაც ესმის, რაც ხდება. ჩვენ მათ უნდა ველაპარაკოთ და იქნებ, ზოგიერთ ადგილას, რამენაირად გავთიშოთ ინტერნეტი. ვიღაცა იტყვის, – ოჰ, სიტყვის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება... ეს სულელი ხალხია“, – განაცხადა ტრამპმა. (news.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.აერო-პორტი ქუთაის-თან
2.სა-დაფით დაფარული ქვა
3. კოლხი გრძნეული ქალი
4. პირველი კოსმო-ნავტი
5. ვაჟიშ-ვილი
6. გვერდების სიგრძეების ჯამი
7. მისთვის ააგეს ბაბილონის ბალები
8. მსახიობი გრეტა ...
9. დისნეის ქალთევზა
10. ანდამატი
11. მონღოლი დიდებული
12. ... ლუქსემ-ბურგი
13. ივლისის ხალხური სახელწ.
14. მსახიობი ... ბანა
15. ... ლოიდ ვებერი
16. მსახიობი ... დელონი
17. თბილისის უბანი
18. ინგლისელი პოეტი
19.მისი დედაქა-ლაქია ვარშავა
20. ხორცის მჭამელი ცხოველის მამალი
21. გამოუწ-ვავი აგური
22.ვირას საპირის-პირო ბრძანება
23. მხარე დას. საქართ.
24.მწვანე ნივთი-ერება ფოთოლში
25. მოთიბული ბალახი
26. სამშე-ნებლო მასალა
27. ფრედი მერკურის ანსამბლი
28. ხერხემლის ძვალი
29. ტროპი-კული ნაყოფი
30. კეთილის-მყოფელი, ანუ ...
31. ინგლისური ლუდი
32. ტყის ფრინველი
33.იუგოს-ლავიის მეფეკვიდრე ქვეყანა
34.გაქ-რისტიანე-ბული არაბი ყმაწვილი
35. საველე საავადმ-ყოფო
36. მხატვარ-მოდელი-ერი
37. მითიური ცხენ-კაცი
38. გერმა-ნული ავტომო-ბილი
39. ცხენო-სანი ჯარი
40.მომ-ღერალი ხულიო ...
41. მღრღნელი ცხოველი
42. მდინარე გერმა-ნიაში
43. პოეტი ... აბაშიძე
44. მუსიკალ. ნანარმოებ. ტემპი
45. „20000 ... წყალქვეშ“
46. ღორის ბალანი
47.ის-ტორიული ქალაქი ინდოეთში
48. რაიმეს შესრულ-ებების პირობა
49.„მე, ბებია, ილიკო „ და ...“
50. ბაბკი-რეთის დედაქა-ლაქი
51. ერთგვარი ღუმელი
52. თავის ჩონჩხი
53. ავანტიუ-რისტი ჯეკობო ...
54.ექს-პრეზი-დენტი რონალდ ...
55. ანტი-ლოპას სახეობა
56.მომ-ღერალი დაიანა ...
57.ნორ-ვეგიის სახაპირო ყურე
58. ოჯახი, ანუ ...
59. მსახიობი ... ბერიმორი
60. მსახიობი ... ტაილერი
61.... ამდგარსა კურდ-ღელსა
62. ტაძარი ქუთაისში
63.„კუკა-რაჩა“ ინგა ...
64. დღე ხვალის შემდეგ
65. მსახიობი კერი-... მოსი
66. ახალი წელი გურიაში
67.ფედე-რიკო ფელინის ფილმი
68. ქალაქი დას საქართ.
69.მსახ. ... უიზერ-სპუნი
70. შხამიანი გველი
71. უნაპირო ზღვა ატლანტის ოკეანეში
72.ურემი ... გადა-ბრუნდება
73. სიგრძის ინგლის. ერთეული
74. თევზის წვნიანი
75. აგენტი 007
76. ხორთუ-მიანი ცხოველი
77.ისრა-ელის დედაქა-ლაქი
78. მსახიობი ... სპეისეკი
79. მოკლე კაბა
80. გამოსა-მარგლი ბალახი
81.სად თესავენ ბოსტ-ნეულს
82. ფეთქე-ბადი ნივთი-ერება
83. ძველე-ბური ფრან-გული ვერცხ-ლის ფული
84.ქორე-ოგრაფი ... პეტიპა
85.ძვ. ბერძენი ფილოსო-ფოსი
86. მწერალი ... ტვენი
87. ... შეიქმს სიყვა-რულსა
88. ზამბახი
89. სვიფტის ჯუჯა
90. ძვირფასი ნითელი ქვა
91. ღლავი
92. უნგრელი კომპო-ზიტორი
93. სია
94. ჭურჭელი ხოგადად
95. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
96. ზამთრის თვე
97. ჰიუგო. „ძარიზის ღვთის-მშობლის ტაძარი“ პერსო-ნაჟი
98. მდინარე აფრიკაში
99. კენიის დედაქა-ლაქი
100. ჯან ლუკა ...
101. ცეცხლის ენა
102. ცისა-რტყელას ფერი
103.დედა-მიწის ნულოვანი სარტყელი
104.ფეხ-ბურთელი მიხეილ ...
105.მით. პერსონაჟი. ცნობილია ქუსლით
106. იგავები: „... და დამანა“
107. ბალახი. ელებენ შაქარს
108. იტალიელი კომპო-ზიტორი
109. მხარე ფინეთთან
110. ბგერის გრაფიკ. გამოსა-ხულება
111. ირანში: ... ჰომეინი
112. ხელოვ-ნური ვარცხნი-ლობა
113. მსახიობი სტივენ ...
114. მშენებლის სახახავი
115.ხის უჯრედისი. ამზადებენ ქაღალდს
116. მწერალი ბრემ ...
117. ... აბრაამის ბატკანი
118. რადიოლო-კატორი
119. მამლის ჯიღა
120. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
121. ლითონის წვრილი ფული
122.მომ-ღერალი ... კალასი
123.„... მოვიპა-როთ მილიონი“
124. შვედური საესტრადო ანსამბლი
125. ფრანგი მხატვარი
126. კვახი, ანუ ...
127.იუმო-რისტი ... სულუაშ-ვილი
128. რომის პაპის გვირგვინი
129. მწერალი ... ბრაუნი
130. კოსმო-სური კვლევის ცენტრი აშშ-ში
131.დიუმა. „... წლის შემდეგ“
132. დიდი ჩაქუჩი
133. მსახიობი ... უაიტინგი
134. თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე
135. ქვანახ-შირის აუზი გერმა-ნიაში
136. დედამიწის გუმბათი
137. შტატი აშშ-ში
138.მომ-ღერალი ... სტიუარტი
139. მსახიობი სოფი ...
140. ... გასცემ, მეხია
141.დიზა-ინერი ჯორჯო ...
142. ანრჩხლი
143. მახრჩო-ბელა გველი

ამოცანები: 1. ეოფიზიკოსი; 2. ნიუტონისა; 3. ზეციერი; 4. ბავშვობიდან; 5. ძე; 6. ბეთანიიდან; 7. სეფერმენი; 8. ბაღი; 9. „ორლეანი“; 10. ბავშვობა; 11. ნოინა; 12. როზა; 13. ეშველებოდეს; 14. ეიფელი; 15. ეფექტი; 16. ალფონსი; 17. ალბერტ; 18. ბაიერი; 19. ბოლოფანი; 20. ხეადი; 21. ალბერტ; 22. ბიბლეა; 23. ფანტაზიორი; 24. ქლოროფილი; 25. თიგი; 26. ბოსი; 27. „ქეფინ“; 28. ფალი; 29. ანიბალი; 30. ქვეშეთ; 31. ეილეი; 32. ეოდელია; 33. ბაბილონი; 34. ალეა; 35. ნოინა; 36. დოლეფოი; 37. ქვეწარმეები; 38. ბერლინი; 39. ეიფელკოშკი; 40. ფალეი; 41. ბერეზა; 42. ინაკეილი; 43. ბაბილონი; 44. ბრაზილია; 45. ლიბია; 46. ჯაბაზარი; 47. ალბა; 48. ბარბარეზი; 49. ფლოიდი; 50. ეიფელ; 51. ბოლი; 52. ქალი; 53. ეიბეიფეა; 54. ფიზიკოსი; 55. ბეგე; 56. ბოსი; 57. ფეთოლი; 58. ეეფეა; 59. ფალეი; 60. ბოსი; 61. ალეა; 62. ბაგრატი; 63. ზეგა; 64. ალეა; 65. ბაბილონი; 66. ეიფელ; 67. ალეა; 68. ბალეა; 69. ბოსი; 70. ალეა; 71. ეიფელ; 72. ბოსი; 73. ბალეა; 74. ეიფელ; 75. ბოსი; 76. ბალეა; 77. ფლოიდი; 78. ბოსი; 79. ბიბი; 80. ხარეზეფა; 81. ბოსი; 82. ბალეა; 83. ბალეა; 84. ბარბარეზი; 85. ალიბაბაფეტი; 86. ბალეა; 87. ბიბი; 88. ინიეი; 89. ფალეთიანი; 90. ბალეა; 91. ალეა; 92. ეიფელ; 93. ბეეფალეა; 94. ბარი; 95. ფალეა; 96. ბალეა; 97. ეიბეფალეა; 98. ბალეა; 99. ალეა; 100. ბალეა; 101. ალეა; 102. ალეა; 103. ეეფეა; 104. ბეიბი; 105. ალეა; 106. ქალეა; 107. ალეა; 108. ალეა; 109. ბალეა; 110. ალეა; 111. ეიფალეა; 112. ბარეზი; 113. ეიფალეა; 114. ბალეა; 115. ეეფალეა; 116. ხალეა; 117. ბალეა; 118. ბალეა; 119. ბიბლეა; 120. ბალეა; 121. ხალეა; 122. ბარეზი; 123. ბალეა; 124. „ბბეა“; 125. ეეფალეა; 126. ბალეა; 127. ალეა; 128. ბალეა; 129. ბალეა; 130. ბარეზი; 131. ალეა; 132. ეეფალეა; 133. ალეა; 134. ალეა; 135. ალეა; 136. ალეა; 137. ალეა; 138. ალეა; 139. ალეა; 140. ბალეა; 141. ანრჩხლი; 142. ბალეა; 143. ეეფალეა.

რატომ აქვთ კაცებს სივრცეში ორიენტირების უკეთესი უნარი, ვიდრე ქალებს?

ნორვეგიელმა ექსპერტებმა შეძლეს იმის დადასტურება, რომ კაცები უკეთ ორიენტირდებიან სივრცეში, ვიდრე ქალები. თანაც, ახსნეს რატომ.

აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი ევოლუციას უკავშირდება. ადრე კაცები მონადირეობდნენ, ქალები კი შემგროვებლები იყვნენ. მამაკაცებს ორიენტაციის დროს უაქტიურდებათ ჰიპოკამპი (საფეთქლის წილი, რომელიც მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი), ქალებს კი, თავის მხრივ, შუბლის წილი.

ქალები სისხლში ტესტოსტერონების მატებასთან ერთად, უკეთ ჭრიდნენ საორიენტაციო ამოცანებს, რაც ორიენტაციის უნარსა და სექსუალურ ჰორმონებს შორის კავშირზე მეტყველებს. ტესტოსტერონების ინექცია ვერ დაეხმარა ქალებს, უკეთ გაერთმიათ თავი დავალებისთვის, თუმცა მათი ტვინის მუშაობა გამუდმებით იცვლება.

მამაკაცები კი ძირითადად ჰიპოკამპის ხარჯზე არიან. ამასთანავე, უკეთ იმახსოვრებენ მაგალითად, ლაბირინთის სტრუქტურას.

მოკლედ, კაცებს უკეთესი ორიენტირების უნარი აქვთ და ეს მხოლოდ ბიოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე.

globalscience.ru

ეს ამბავი მამაკაცებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ!

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს (ნეტა, რად უნდოდა ამას კვლევა), რომ ქალი დადებითი განწყობით გამოირჩევა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მას სექსუალურ ობიექტად აღიქვამს.

ქალები განსაკუთრებულად სექსუალურად მაშინ გრძნობენ თავს, თუ ხანგრძლივ ურთიერთობაში არიან. მაგალითად, როცა მეუღლე ჰყავთ, ან მეგობარი მამაკაცი, რომელთან ერთადაც დიდი ხანია ცხოვრობენ და რომლისგანაც ხშირად გრძნობენ სითბოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში იწყებენ ქალები საკუთარი თვითშეფასების ამაღლებაზე მუშაობას და თავს სექსუალურებად თვლიან. ეს კი, ურთიერთობის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების სურვილით აიხსნება.

თუ ქალი პარტნიორისგან ვერ გრძნობს საკმარის ყურადღებას, თვითშეფასება უვარდება და საკუთარ თავში ნაკლის ძიებას იწყებს.

lenta.ru

მესიჯი წერტილის გარეშე უფრო სანდო ყოფილა

თურმე ესემეს შეტყობინების წაკითხვისას წერტილი მკითხველში უნდობლობას იწვევს. ბინგემტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 126 სტუდენტის დახმარებით კვლევა ჩაატარეს. ექსპერიმენტის მონაწილეებს მობილურ ტელეფონში დიალოგი უნდა წაეკითხათ. მაგალითად, „ჯემალამ ზედმეტი ბილეთი მომცა, ხომ არ წამოხვალ?“ პასუხი ერთი სიტყვისგან შედგებოდა – „კარგი“. იყო პასუხების ორი ვარიანტი – წერტილით და წერტილის გარეშე. აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტში მონაწილეები წერტილის გარეშე გაცემულ პასუხებს უფრო დამაჯერებლად და გულწრფელად მიიჩნევდნენ.

„საუბრისას ადამიანები ემოციის გადმოსაცემად მიმიკას, ჟესტებს, ხმის ტემბრის ცვლას იყენებენ, მობილურით კონტაქტისას კი ამ ყველაფერს მოკლებული არიან. მკითხველი იძულებულია, თავად გაარკვიოს მესიჯის ავტორის განწყობა. სწორედ ამისთვის იყენებენ ე.წ. სმაილებს და შეგნებულად უშვებენ ორთოგრაფიულ შეცდომებს, რომ მინაწერი უფრო გულღია და სანდო იყოს“, – აღნიშნავს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, სელია კლინი.

წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი კი პირიქით, არა აგრესიად, არამედ გულწრფელ ტონად აღიქმება.

lenta.ru

დაიკიწყეთ ქიმიოთერაპია – ბაბუაწვერა კიბოს უჯრედებს 48 საათში ანადგურებს

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბაბუაწვერას ფესვებს კიბოს უჯრედების განადგურება ქიმიოთერაპიაზე ბევრად უფრო ეფექტურად შეუძლია, თანაც გვერდითი მოვლენების გარეშე. ამის შესახებ კანადის უინძორის უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოლოგიის კათედრის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე დაყრდნობით, **fitfoodhouse** იტყობინება.

ბაბუაწვერა შეიცავს ვიტამინ **B6**-ს, **C**-ს, რკინას, ფოლიუმის მჟავას, კალიუმს, მანგანუმსა და მაგნიუმს. ბაბუაწვერას ფესვების ნაყენი, ასევე, შარდმდენია, ხელს უწყობს ნაღვლის სეკრეციის სტიმულირებას, წმენდს ღვიძლს, ამცირებს ქოლესტერინსა და ალერგიის ხარისხს. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაზეც კანადელი მეცნიერები საუბრობენ, ბაბუაწვერა მთლიანად ანადგურებს კიბოს უჯრედებს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა, კიბოთი დაავადებულმა 72 წლის ჯონ კარლომ მიიღო, რომელიც 3 წლის განმავლობაში ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსს გადიოდა. ბაბუაწვერას ფესვების ნაყენის ყოველდღიური მიღების შედეგად კი მისმა დაავადებამ 4 თვეში რემისია განიცადა.

მკვლევარების განცხადებით, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბაბუანწვერას ფესვების ნაყენმა კიბოს უჯრედები 48 საათში გაანადგურა და ახლის წარმოქმნასაც ხელი შეუშალა.

newposts.ge

ზღვის ჰაერი ჯანმრთელობისთვის საშიში ყოფილა

ლენდის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები დაობდნენ ზღვის ჰაერის მავნებლობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს.

კვლევის დროს ზღვის ჰაერის შემადგენლობაში ისეთი მავნე ნივთიერებები აღმოჩნდა, რომელთაც შეუძლიათ ორგანიზმის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება.

ყველაზე დიდ საფრთხეს კი სატვირთო ლაინერები და მათგან წამოსული ჰაერის მასები შეიცავს.

შედეგად ზღვის ჰაერის მავნებლობის მაღალი დონე დამტკიცდა. მეცნიერები ხალხს განსაკუთრებით დაბინძურებული გარემოდან შორს ცხოვრებას ურჩევენ.

globalscience.ru

ხმაური ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს

ალბათ, ხშირად მოგვისმენია ახლობელ-ნაცნობებისგან ფრაზები – „ხმადაბლა არ გესმის ეგ მუსიკა?“ „რა გაყვირებს, მესმის“ და ა.შ

პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც მარკ ენდრიუსი ხელმძღვანელობდა, აღმოაჩინეს, რომ ხმაური ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებდა. განსაკუთრებით კი, სხვადასხვა სახის მანქანებისა და მოწყობილობების ხმაური. ასეთი პირობები არტერიული წნევის აწევასა და ხშირად ჰიპერტონიულ კრიზისსაც იწვევს.

ხმაურის მაქსიმალური დონე, რომელსაც ადამიანის ყური უძლებს, 60 დეციბელია. მაქსიმუმს მიღწეული და გადაჭარბებული ხმაური ადამიანზე ისეთ ზეგავლენას ახდენს, რომ ფატალურ შედეგამდე მიჰყავს.

globalscience.ru

– თოკის რომელი ბოლო უნდა ესროლო დეპუტატს, რომელიც წყალში იხრჩობა?

– ორივე!!!

*****

მძღოლი „გაიშნიკს“ აღშფოთებული მიმართავს:

– ჰო, მაგრამ ამხანაგო სერჟანტო, აქ ხომ არის მარჯვნივ შესახვევი?

– არის, მაგრამ ფასიანია!

*****

– ...და ამ ყველაფრის შემდეგ, მეუბნება, ჯობია, მეგობრებად დავრჩეთო...

– ჰოო... იმედი მაქვს, ერთი გემოზე სთხლიშეთ სიფათში!!!

– უკაცრავად და თქვენ ნამდვილად ფსიქოთერაპევტი ხართ?!

*****

– ოფიციანტო, რომელ ღვინოს მირჩევთ, თქვენს საფირმო კერძს რომ მივაყოლოთ – მშრალს თუ ნახევრად მშრალს?

– ქალბატონთან ერთად ხართ?

– რა თქმა უნდა!

– რომელთან, ახლა რომ ადგა საცეკვაოდ?

– დიახ...

– მაშინ, არაყი შეუკვეთეთ!

*****

ტელეფონში ქალის განაზებული ხმა ისმის:

– კოტიკ, ჩემი დებილი ქმარი ორი კვირით მივლინებაში წაეთრა. როგორც კი განთავისუფლდები, ეგრევე ჩემთან მოქანდი... უი, უკაცრავად, მგონი, ნომერი შემეშალა...

– პრობლემა არ არის, ქალბატონო, მიკარნახეთ მისამართი!

*****

– ეს დაღლილობის საწინააღმდეგოა, ეს – ნერვული დაძაბულობის შესამცირებლად, ეს კი – დეპრესიის დასამარცხებლად!

– მადლობა, ექიმო, მაგრამ, ვისკის გარდა, სხვა არაფერი გაქვთ?

*****

– თუ დედა მიიჩნევს, რომ ბევრს ჭამთ და ძალიან დიდხანს გძინავთ, ის დედათქვენი არ არის, ის თქვენი ქმრის დედაა!..

მოამზადა მიხეილ სახვაძემ
დავით ახობაძის ნახატი

НЕКРОЛОГИ...

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გერმანელმა მძარცველებმა ტელევიზორი და 46... გველი მოიპარეს

წყევლა-კრულვა აქ რა მოსატანია, მაგრამ რომელიმე ენამწარე ქალი მაინც მიაყრიდა ქოქოლას: მაგაზე უკეთესი არაფერი შესულიყოს თქვენს სახლშიო...

და მართლაც, ადამიანი რომ 46 გველს მოიპარავს, მას ან სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები უნდა აწუხებდეს, ან კიდევ, კაცმა არ იცის, რა...

როგორც ირკვევა, ეს საოცარი კრიმინალური ფაქტი გერმანიის ქალაქ შტადეში გამოვლინდა, სადაც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა 46 გველი მოიპარეს, მათ შორის, 43 განსაკუთრებით შხამიანები.

მართალია, ნაქურდალში ერთი ტელევიზორიც ერია, თუმცა ვფიქრობთ, კრიმინალების დანარჩენი მონაპოვარი მაინც ძალიან სულელურია.

რა თქმა უნდა, თუკი ქურდები გველების გაყიდვას შეძლებენ, ალბათ, დიდ შემოსავალსაც მიიღებენ, მაგრამ გვეეჭვება, შხამიანი გველების შეძენაზე წყვეტა იყოს...

etotupo.ru

და ვინჩის „საიდუმლო სერობაზე“ სამყაროს აღსასრულის წინასწარმეტყველება აღმოაჩინეს

იტალიელი მკვლევარი, საბრინა სფორცა გალიცია ამტკიცებს, რომ შეძლო იმ წინასწარმეტყველების გაშიფვრა, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ თავის „საიდუმლო სერობაზე“ დაიტანა.

მეცნიერის განმარტებით, რომელიც აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კვლევებს ჯერ კალიფორნიის უნივერსიტეტში ატარებდა, შემდეგ კი ვატიკანის არქივებში, ლეონარდო და ვინჩიმ იწინასწარმეტყველა, რომ 4006 წლის 21 მარტს დედამიწაზე დაიწყება რაღაც პროცესი, რომელსაც სერიოზული კატაკლიზმები მოჰყვება და იმავე წლის 1 ნოემბერს ყველაფერი დასრულდება.

საბრინა სფორცა გალიცია განმარტავს მხოლოდ იმას, რომ მან ლეონარდოს მიერ შედგენილი რაღაც მათემატიკურ-ასტროლოგიური შიფრი ამოხსნა. კერძოდ, თითქოს, მაგიდაზე, რომელთანაც ქრისტე და მისი მოწაფეები სხედან, დევს მსოფლიოს რუკა გრძედებისა და განედების აღნიშვნებით, თუმცა როგორ მიიღო მან ციფრები: 4006 წელი, 21 მარტი და 1-ლი ნოემბერი, აღარ ზუსტდება.

ისე, არ გაინტერესებთ, როგორი იქნება სამყარო 4006 წელს? ნეტავ, ცალი თვალით მაინც დაგვანახა ასეთი შორეული მომავალი...

tainamira.ru

იაპონურ აუქციონზე ყურძნის ერთი მტევანი 910 დოლარად გაიყიდა

ახალი ჯიშის ყურძნის ერთი მტევანი, რომელიც იაპონელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს და რომლის წონაც, სულ რაღაც, 680 გრამი გახლდათ, რეკორდულ ფასად, 100 ათას იენად (დაახლოებით 910 აშშ დოლარი) გაიყიდა. ანუ ყურძნის ერთ მარცვალში, მყიდველმა დაახლოებით 26 დოლარი გადაიხადა. იშვიათი ჯიშის ყურძენი, რომელსაც სახელად „რუბუ რომანი“ ეწოდება, იაპონიის ჩრდილო-დასავლეთით, ისიკავას პრეფექტურაში გამართულ აუქციონზე გაიყიდა.

საინტერესოა, რომ ერთ მტევანს 35 მარცვალი ჰქონია გამოსხმული და თითოეული მათგანის ზომა მაგიდის ჩოგბურთის ბურთზე ცოტათი პატარა ყოფილა.

ცნობილია ისიც, რომ უიშვიათესი ყურძნის ჯიშის მოყვანა 1994 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სამწუხაროდ, უცნობია, არის თუ არა ჩამოსხმული „რუბუ რომანის“ ღვინო, რომელიც, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირფასესი იქნება.

mainfun.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-21.04

10 დეკემბერი: მავნე ჩვევების მოსაშორებლად შესაფერისი დღე არ არის. ტყუილად ნერვებს მოიშლით და შედეგს ვერ მიიღებთ. საქმეები ისედაც ბევრი გაქვთ.

კურო 22.04-21.05

10 დეკემბერი: წარმატებული დღე უნდა იყოს. განსაკუთრებით კარგად გამოგივათ საქმეები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გადადეთ.

ტყუპები 22.05-21.06

10 დეკემბერი: თუ რამე გაქვთ სათქმელი, ძალიან მორიდებული ნუ იქნებით – ხმამაღლა წარმოთქვით, თორემ თქვენს აზრს აღარ გაითვალისწინებენ.

კირჩხიბი 22.06-22.07

10 დეკემბერი: სულ უმნიშვნელო საქმეც რომ გააკეთოთ, შეიძლება ძალიან გადაიღალოთ. არა იმიტომ, რომ დიდ ენერგიას დახარჯავთ, უბრალოდ, განწყობა არ გექნებათ.

ლომი 23.07-22.08

10 დეკემბერი: ძალიან უდარდელი იქნებით და თქვენს გარშემო ყველას ასეთი განწყობა დაეუფლება. თუ ზღვარს არ გადახვალთ, ეს დღე სასიამოვნოდ დაგამახსოვრდებათ.

ქალწული 23.08-22.09

10 დეკემბერი: თუ დღეს დეტალებს ჩაუღრმავდებით, შესაძლოა, მთლიანი საქმის სრული არსი ვერ აღიქვათ. იქნებ საქმეს კომპლექსურად შეხედოთ.

სასწორი 23.09-22.10

10 დეკემბერი: დღეს ვნება და კეთილი განწყობები გამოძრავებთ. აღქმის უნარი გაგიმძაფრდებათ. სხვისი აზრის ამოკითხვას მანამდე შეძლებთ, ვიდრე რამეს იტყვის.

მორიელი 23.10-21.11

10 დეკემბერი: სამყარო უცნაური მოგეჩვენებათ, სამაგიეროდ, გარშემომყოფთათვის თქვენ იქნებით უცნაური. დიდი ალბათობით, საღამოს ფორმაში ჩადგებით.

მშვილდოსანი 22.11-21.12

10 დეკემბერი: შესაძლოა, დღეს თქვენი აზრები ბუნდოვანი იყოს, გრძნობები – არეული, განწყობა – ცვალებადი. შეეცადეთ, დამშვიდდეთ და გონება გაისუფთაოთ.

თხის რქა 22.12-19.01

10 დეკემბერი: დღის დასაწყისი რაოდენ მოსაწყენიც არ უნდა მოგეჩვენოთ, გულიანად გაერთობით. თქვენთვის ყველა კარი ღია იქნება.

მერწყული 20.01-18.02

10 დეკემბერი: თქვენი ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩება, მაგრამ დიდ შექებას არ უნდა ელოდოთ. თქვენს ნაღვაწს მოგვიანებით დააფასებენ.

თევზები 19.02-20.03

10 დეკემბერი: შეეცადეთ, ეს დღე საგულდაგულოდ დაგეგმოთ და გაუაზრებელი ნაბიჯი არ გადადგათ. იმპროვიზებული გადაწყვეტილებები შედეგს არ მოგიტანთ.

გიორგი ბრეგვაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს!

გისურვებთ, როგორც აქამდე, არასოდეს მოგკლებოდეს ღმერთის მფარველობა და შენი გაკეთებული სიკეთე მუდამ წინ დაგხვედროდეს! ჯანმრთელი და ბედნიერი იყავი! როგორც ჯეფერსონი ამბობდა, ვერავინ შეაჩერებს კაცს, რომელსაც სწორად დასახული მიზანი და საქმისადმი გააზრებული დამოკიდებულება აქვს. ჰოდა, მუდამ მაღალი ტირაჟი გქონდეს! გაიხარე ყველა ამქვეყნიური სიამით და ჩვენც გაგვახარე!

ალიელები

ორი მამაკაცი რესტორანში შევიდა, მაგიდა აირჩია და ოფიციანტს მოუხმო:

– სპილოს ხორთუმის ჩაშუშული გვინდა, გარნირად კი – წიწიბურა.

– რომელს ინებებთ – ინდური სპილოს ხორთუმს თუ აფრიკულის?

– მოდი, ინდური იყოს.

ოფიციანტმა შეკვეთა ჩაიწერა, წავიდა, მაგრამ მალევე მობრუნდა:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენი შეკვეთის შესრულება შეუძლებელია.

– რატომ?

– წიწიბურა გაგვითავდა...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ზანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ააადემიანი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.42